ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge


გვ.3

თბილისსა და სამეგრელოში „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 5 პირი დააკავეს

საკონსტიტუციო სასამართლომ „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ კონსტიტუციური სარჩელი არ დააკმაყოფილა


გვ.5

სამშაბათი, 8 ნოემბერი, 2022 №220 (8998) ფასი: 80 თეთრი

# „ოპოზიციამ სერიოზული შეცდომები დაუშვა ივანიშვილთან“


გვ.2

ლელა ჯეჯელავა: „ამბობენ, ივანიშვილი თავის დროზე ბანქოს თამაშობდა კარგად, კარგ ტრიუკებს ატარებდაო და ეტყობა, ეს უნარები პოლიტიკაშიც გადმოიტანა“



**„ივანიშვილს მოუწევს ჩამოყალიბება, საით მიდის? რჩება რუსეთის პოლიტიკური გავლენების ქვეშ და მთლიანად მოწყვეტს ქვეყანას დასავლური პოლიტიკის ორბიტიდან?“**

## „ოპოზიციაში სუპერკრიზისია, ულიდერობა იგრძნობა“


გვ.3

სოსო ცინცაძე: „გაერთიანების მცდელობა უკვე განწირულია. თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, არსებული ოპოზიციის შანსები არჩევნებზე ძალიან დაბალია“

ნიკა შენგელია: „დეკემბერში პურის, რძის პროდუქტების, ხორცის ფასი კიდევ უფრო გაიზრდება“


გვ.3

## „მოსახლეობის გაღარიბება გრძელდება“




გვ.2

**გამოკითხულთა 72% მომავალ არჩევნებში ახალი პოლიტიკური პარტიების ხილვას ისურვებდა**


გვ.4

## რუსეთში ორხელისუფლებიანობის დამკვიდრებას ცდილობენ

„ვაგნერი“ პუტინსაც დაასამარებს?

1993230720223

**2** რატომ მოხდა გურამიშვილზე მოსახლეობის ევაკუაცია

**4** ორსულ ცოლზე მოძალადე კაცი სასამართლომ გაამართლა

**5** უდანაშაულოდ 30-წლიანი პატიმრობიდან განთავისუფლებული მამაკაცი ხუთ თვეში გარდაიცვალა

**6** გამარჯვების იარაღი უკრაინისათვის

# „ოპოზიციამ სერიოზული შეცდომები დაუშვა ივანიშვილთან“

## ლელა ჯეჯელავა: „ამბობენ, ივანიშვილი თავის დროზე ბანქოს თამაშობდა კარგად, კარგ ტრიუკებს ატარებდაო და ეტყობა, ეს უნარები პოლიტიკაშიც გადმოიტანა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.



***– ქალბატონო ლელა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? რა აღარ ხდება, თუ რამე გაგვაკვირვებდა კიდევ არ გვეგონა, მაგრამ მთლიანად შემოგვლობესო, ახლა, გადაგვხურესო... რა ხდება, რა უნდა ბიძინა ივანიშვილს?***

– იცით რა, ახალი ამაში არაფერი არ არის, უბრალოდ, მეტი ინფორმაცია გახდა ხელმისაწვდომი და, შესაბამისად, უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდა და ალბათ უჩნდება კითხვები, თორემ, ახალი, რეალურად, არაფერი ხდება. ბიძინა ივანიშვილი ამ ქვეყანას აღიქვამდა ისედაც, როგორც თავის პირად კორპორაციას. მას არასოდეს არ ჰქონია განცდა, რომ ის დგას სახელმწიფოს სათავეში, თორემ ასეთ შემთხვევაში, როდესაც შენ გაქვს ის განცდა, რომ მოხვედი სახელმწიფოს სამართავად და მისი განვითარებისათვის, შესაბამისად, არაფორმალური მმართველობა, მაშინ სრულიად უადგილო იქნება და ეს ჩრდილოვანი მმართველობა, რომელიც მან დაამკვიდრა. ივანიშვილს ყოველთვის აქვს განცდა, რომ ის არის რაღაც მითიური პერსონა, რომელსაც საჩუქრად ერგო ეს კორპორაცია. უფრო ზუსტად კი, მოიპოვა იმ სამი მილიარდის სანაცვლოდ, რომელიც ქველმოქმედებაში გასწია. როგორც ამას გვეუბნებიან და ყოველდღიურად გვახსენებენ.

***– „ქართული ოცნება“ გვიმტკიცებს, რომ ივანიშვილი მეცენატია და არ არის ოლიგარქიო.***

– არა, ბატონო ჩემო! როდესაც წიგნად აკინძავ შენს გაწეულ ქველმოქმედებას, ამას აღარც მეცენატობა ჰქვია და არც ქველმოქმედება. ამას ჰქვია ჩვეულებრივი ინვესტიცია და ის თვლის, რომ ახლა საკმარისი თანხა აქვს ინვესტირებული ამ ქვეყანაში. უბრალოდ, არ ვიცით, ეს თანხა მისია თუ...

***– ვისი შეიძლება, რომ იყოს?***

– შესაძლოა ეკუთვნის ეფ-ეს-ბეს. როგორც ამბობენ და ძალიან ბევრი იწერება ამის თაობაზე, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის პარტიული ფული აღმოჩნდა სწორედ ეფ-ესბეს გარკვეული პერსონების ხელში და, შესაბამისად, ეს ფული იხარჯება პოსტსაბჭოთა სივრცეში, სწორედ საბჭოთა კავშირის რეანიმაციისათვის. სხვათა შორის, ამის შესახებ თავად რუსეთშიც იწერება ძალიან ბევრი. კიდევ ბევრი რამ გახდება ცნობილი საზოგადოებისათვის ამ ინფორმაციულ ერაში. მე მაქვს სერიოზული ვარაუდი, რომ შესაძლოა, ეს სწორედ ის ფულია, ის სამი მილიარდი, რომელიც აქ ჩაიდო იმისათვის, რომ საქართველო კვლავ დაუბრუნდებოდა რეანიმირებულ საბჭოთა კავშირს. აქედან გამომდინარე, ამ კაცს მიაჩნია, რომ ეს ქვეყანა მისი საკუთრებაა და როგორც უნდა, ისე მოიქცევა. თუნდაც იმიტომ, რომ იქ, სადღაც, იმ დიდ კორპორაციაში, მას უთხრეს, რომ ეს ქვეყანა შენია!

**„ივანიშვილს მოუწევს ჩამოყალიბება, საით მიდის? რჩება რუსეთის პოლიტიკური გავლენების ქვეშ და მთლიანად მოწყვეტს ქვეყანას დასავლური პოლიტიკის ორბიტიდან?“**

***– ასეთი რთული სიტუაციაა და აბსოლუტურად არანაირი პროტესტი არ არის. დუმს ოპოზიცია, დუმს საზოგადოება. ასეთი მკვდარი პოლიტიკური პროცესი, ახლა რომ არის, არ ყოფილა არასოდეს. სადაა საპროტესტო მუხტი და საერთოდ რას ფიქრობს ოპოზიცია? თუკი გვყავს დღეს კიდევ რეალური ოპოზიცია?***

– დღეს ოპოზიცია კარგად რომ არ იქცევა და კარგად რომ არ გამოიყურება, ამაზე საუბარი, მე მგონი, დროის კარგვაა. ამას ყველა ხედავს, ყველა აღიქვამს.

***– რა დროს პრაიმერი და თანამდებობების გადანაწილებაა, როცა ქვეყანაში ასეთი სიტუაციააო.***

– რასაკვირველია. ჩვენ მართლა ეგზისტენციალური საფრთხეების წინაშე ვართ. იმაზე კი არ არის ახლა ლაპარაკი, რომ ჩვენი ადგილი იქნება ევროპაში ან დასავლური ცივილიზაციის ნაწილი გავხდებით თუ არა. საერთოდ, ჩვენი ყოფნა-არ ყოფნის ანუ ჩვენი დანიშნულების საკითხი დგას. რომც გადავრჩეთ, აი ამ რთულ ვითარებაში, რისთვის უნდა გადავრჩეთ?! რა ფუნქცია გვაქვს, ვინა ვართ საერთოდ?! სად ვართ, საით მივდივართ, ვიცით?! ჩვენ ამ კითხვებზე არ გვაქვს პასუხები!

***– მესამედ მობრუნდება ივანიშვილიო, რამდენად რეალურია ეს ინფორმაცია?***

– იცით რა, მე მიმაჩნია, რომ არარეალური ამაში არაფერი არ არის. რასაკვირველია, ეს ინფორმაცია ჯერჯერობით დაუდასტურებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, მას აქვს არსებობის უფლება. თუნდაც იმიტომ, რომ მას გარკვეული ლოგიკა აქვს. თუ ბიძინა ივანიშვილის დასანქცირების თემა...

***– მთავარ მიზეზად სწორედ ეს სახელდება, რომ დაბრუნდება იმიტომ, რომ თავიდან აიცილოს სანქციები.***

– რასაკვირველია, ეს არის ყველაზე უკეთესი შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში სრულიად იცვლება მოცემულობა. სტრატეგიული ქვეყნის, რეალური მმართველის დასანქცირება, ეს არის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება, რომლის მიღება გართულდება. იმიტომ, რომ მაშინ ან უნდა შეიცვალოს ზოგადად ქვეყანასთან და სახელმწიფოსთან დამოკიდებულება დასავლეთში, რომ ეს გააკეთონ, ან მე არ ვიცი, სხვა შემთხვევაში ეს როგორ უნდა მოხდეს. ამიტომ, თუკი ივანიშვილის მობრუნების შესახებ ინფორმაცია რეალურია, ასეთ შემთხვევაში, ეს არის ბიძინა ივანიშვილისთვის შესაძლებლობა, რომ ფარად აიფაროს ეს ქვეყანა და ამ გზით გადაურჩეს სანქციებს. თავად შესაძლოა გადაურჩეს სანქციებს, მაგრამ ქვეყნის მომავალი ხდება ძალიან ბუნდოვანი და ძალიან გაურკვეველი.

***– რა სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა, თუკი მართლაც მესამედ მოვიდა ივანიშვილი ხელისუფლებაში?***

– ძალიან რთულ ვითარებაში აღმოვჩნდებით, რასაკვირველია. თუმცა ერთი რამ არის, ბიძინა ივანიშვილს მაინც მოუწევს ჩამოყალიბება, საით მიდის? რჩება რუსეთის პოლიტიკური გავლენების ქვეშ და მთლიანად მოწყვეტს ქვეყანას დასავლური პოლიტიკის ორბიტიდან თუ პირიქით, ის დასავლეთთან დაიწყებს ურთიერთობების დალაგებას, როგორც მას სჩვევია და იტყვის, რომ ის იქნება აქ სტაბილურობის ერთადერთი გარანტი და სტაბილურობა ნამდვილად სჭირდება დასავლეთს საქართველოში.

***– თქვენ რომელი ვარიანტისკენ იხრებით?***

– ეს დამოკიდებულია იმაზე, რა ტიპის ვალდებულებები აქვს ბიძინა ივანიშვილს რუსეთთან. თუ ეს სამი მილიარდი არის ყოფილი საბჭოთა ფული, ასეთ შემთხვევაში, ძალიან ძნელი სათქმელი იქნება, რას გადაწყვეტს ის.

***– ალბათ რუსულ-უკრაინული ამბებიც ბევრ რამეს შეცვლის?***

– ამასაც უცდის ივანიშვილი და ამიტომაც არ ჩქარობს. საერთოდ, დროში გახანგრძლივებული ქმედებები, როგორც ამბობენ, მისი პერსონისთვის დამახასიათებელი თვისებაა. სწორედ ამიტომ შეარქვეს ის სახელი, რაც მას რუსეთში მოღვაწეობისას ერქვა. ის მსხვერპლს არასოდეს უცებ არ კლავს, ის ნელ-ნელა მიდის მიზნისკენ. შესაბამისად, როგორც მას ეს სტრატეგია უმართლებს. ბევრისგან განსხვავებით, 90-იან წლებში მან საკმაოდ საშიში ფაზები გამოიარა და შეინარჩუნა ფინანსებიც და საკუთარი სიცოცხლეც. რაც ბევრმა ვერ შეძლო რუსეთში. ამიტომ ივანაშვილი არ არის ხელწამოსაკრავი. მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ოპოზიცია შესაბამისად არ აფასებს ბიძინა ივანიშვილის უნარებს. ოპოზიციამ სერიოზული შეცდომები დაუშვა ივანიშვილთან მიმართებაში. ასე არაფერიც არ გამოვა. ეს ადამიანი არის საკმაოდ სახიფათო და სერიოზული მოწინააღმდეგე. რეალურად ახლა ებრძვიან ფანტომს, რომელსაც ვერაფერს უმტკიცებენ. ეს არის ადამიანი, რომელსაც გადადექი-საც ვერ ეტყვი.

***– სუფთად მუშაობს, კვალს არ ტოვებს.***

– დიახ, რასაკვირველია. ამბობენ, თავის დროზე ბანქოს თამაშობდა კარგად, კარგ ტრიუკებს ატარებდაო და ეტყობა, ეს თვისება გამოყვა. როგორც ჩანს, ეს უნარები პოლიტიკაშიც გადმოიტანა. ეს ადამიანი არასოდეს არ მოქმედებს პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ამიტომ ძალიან ძნელია მისი საქციელის პროგნოზირება.

## რატომ მოხდა გურამიშვილზე მოსახლეობის ევაკუაცია




მოსახლეობის ევაკუაცია გურამიშვილის გამზირზე – საცხოვრებელი კორპუსი მობინადრეებისგან მას შემდეგ დაცალეს, რაც დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით რამდენიმე ადამიანი მოიწამლა.

გაუსაძლისი სუნი, თვალების წვა და თავბრუსხვევა – ეს არის ის სიმპტომები, რომელიც იქ მყოფებმა იგრძნეს და დახმარებისთვის 112-ში დარეკეს. ადგილზე სასწრაფო და სამაშველო ჯგუფები მივიდნენ.

პირველადი ვერსია ბუნებრივ აირს უკავშირდებოდა, თუმცა შემოწმებამ გაზის გაჟონვა არ დაადასტურა.

## საქართველოს მოსახლეობის 70% ევროკავშირში გაწევრიანებას უჭერს მხარს



– საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს აქვეყნებს. კვლევის თანახმად, კითხვაზე, მხარს უჭერთ თუ ეწინააღმდეგებით საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, გამოკითხულთაგან 70% ევროკავშირში გაწევრიანებას მტკიცედ ეთანხმება; 15% გარკვეულწილად ეთანხმება; 3% გარკვეულწილად ეწინააღმდეგება; 7% კატეგორიულად ეწინააღმდეგება, ხოლო 5%-ს პასუხი არ აქვს.

მარტში ჩატარებული გამოკითხვით, გაწევრიანებას მტკიცედ უჭერდა მხარს 74%, გარკვეულწილად – 14%.

კითხვაზე – მხარს უჭერთ თუ ეწინააღმდეგებით საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, გამოკითხულთა 64% მტკიცედ უჭერს მხარს, 14% გარკვეულწილად, 5% გარკვეულწილად ეწინააღმდეგება, 12% კატეგორიულად ეწინააღმდეგება, 5%-ს პასუხი არ აქვს.

მარტში ჩატარებული გამოკითხვით, ნატო-ში გაწევრიანებას მტკიცედ უჭერდა მხარს 60%, გარკვეულწილად – 15%, გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა 8%, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა 12%, ხოლო პასუხი არ ჰქონდა 5%-ს.

კვლევა ჩატარდა 2022 წლის 13 სექტემბერ – 2 ოქტომბრის პერიოდში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევების ცენტრის სახელით, ბალტიის კვლევებისა და გელაპის ორგანიზაციის წარმომადგენლის, დოქტორ რასა ალიშაუსკინეს მიერ.

## გამოკითხულთა 72% მომავალ არჩევნებში ახალი პოლიტიკური პარტიების ხილვას ისურვებდა



– საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ (IRI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს აქვეყნებს. კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 72% მომავალ არჩევნებში ახალი პოლიტიკური პარტიების ხილვას ისურვებდა.

22% ამჟამინდელი არჩევანით კმაყოფილია, ხოლო 7%-მა არ იცის, არ პასუხობს.

კვლევა ჩატარდა 2022 წლის 13 სექტემბერ – 2 ოქტომბრის პერიოდში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევების ცენტრის სახელით, ბალტიის კვლევებისა და გელაპის ორგანიზაციის წარმომადგენლის, დოქტორ რასა ალიშაუსკინეს მიერ.

კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა „IPM“-ის მიერ. მონაცემები შეგროვდა პირისპირ ინტერვიუს გზით. შერჩევა მოიცავდა საარჩევნო ხმის უფლებისა და ასაკის მქონე 1500 რესპონდენტს.

მონაცემები შეწონილ იქნა ასაკის, სქესის, რეგიონისა და დასახლების ზომის შესაბამისად. ცდომილების ზღვარი წარმოადგენს +/– 2.5 %, გამოპასუხების მაჩვენებელი – 74%.

## მოსახლეობის 52% ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მომხრეა

გამოკითხული მოსახლეობის 52% ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას სრულად ან ნაწილობრივ მხარს უჭერს – ამის შესახებ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივი აზრის კვლევაშია საუბარი.

გამოკითხულთა 42% სრულად ან ნაწილობრივ ეწინააღმდეგება ვადამდელი არჩევნების ჩატარებას, ხოლო 6%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

განახლება: კვლევა ჩატარდა 2022 წლის 13 სექტემბერ – 2 ოქტომბრის პერიოდში საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევების ცენტრის სახელით, ბალტიის კვლევებისა და გელაპის ორგანიზაციის წარმომადგენლის, დოქტორ რასა ალიშაუსკინეს მიერ. კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა IPM-ის მიერ. მონაცემები შეგროვდა პირისპირ ინტერვიუს გზით. შერჩევა მოიცავდა საარჩევნო ხმის უფლებისა და ასაკის მქონე 1.500 რესპონდენტს. მონაცემები შეწონილ იქნა ასაკის, სქესის, რეგიონისა და დასახლების ზომის შესაბამისად. ცდომილების ზღვარი წარმოადგენს +/– 2.5 %, გამოპასუხების მაჩვენებელი – 74%.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციაში სუპერკრიზისია, ულიდერობა იგრძნობა“

## სოსო ცინცაძე: „გაერთიანების მცდელობა უკვე განწირულია. თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, არსებული ოპოზიციის შანსები არჩევნებზე ძალიან დაბალია“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, როგორ აფასებთ ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებს. აშკარაა, რომ წინასაარჩევნო მზადება დაიწყო, როგორ ფიქრობთ, როგორი შეიძლება იყოს შედეგი?***

– ოპოზიციაში სუპერკრიზისია. პირველ რიგში, ულიდერობა იგრძნობა. ჩვენნაირ ქვეყანაში ოპოზიცია ძლიერი, ქარიზმატული ლიდერის გარეშე არ არსებობს. დასავლეთში, ევროპაში, ამის საჭიროება არ დგას. იქ, ლიდერს არავინ ირჩევს. იქ, იდეოლოგიას ემხრობიან. ესა თუ ის პარტია ამა თუ იმ იდეოლოგიის მიმდევარია და ამომრჩეველიც ამის მიხედვით აკეთებს არჩევანს, მაგრამ აქამდე რომ მიხვიდე, საჭიროა დიდი პოლიტიკური კულტურა. ჩვენთან ეს კულტურა არ არსებობს, რადგან ძალიან ცოტაა 30 წელი ასეთი პოლიტიკური კულტურის შესაქმნელად. ამიტომაც ხდება პერსონიფიცირება, პიროვნების იდეალიზაცია, მესიის მოლოდინი, რადგან არ არსებობს არც იდეა და არც პოლიტიკა. ამიტომაც არის მთელი ჩვენი დამოუკიდებლობის 30-წლიანი ისტორია პიროვნებებზე მიბმული – ზვიადი, შევარდნაძე, მიშა, ახლა ბიძინა – ეს ყველაფერი სწორედ ამის გამოხატულებაა.

***– ისევ იგივეს მოლოდინშია საზოგადოება? ისევ მხსნელი სჭირდება ხალხს?***

– დიახ, ასეა. ეს ძალიან რთული საკითხია, რადგან ასე მარტივი არ არის გადაწყობა, იმ რეალობის შეცვლა, რომელიც არსებობს. თავისთავად ეს რეალობა არ შეიცვლება. ძლიერი ინსტიტუტები, ძლიერი პოლიტიკური პარტიები და ბოლოს და ბოლოს, ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი ცვლის ამ რეალობას, რომელიც, სამწუხაროდ, არ არსებობს.



***– ოპოზიცია რამდენად ადეკვატურია პროცესების?***

– ახლა სიცარიელეა. თითქოს რაღაც იდეა არსებობს, მაგრამ მკვდრადშობილია, რადგან უკვე გამოუჩნდნენ კრიტიკოსები და არა მხოლოდ კრიტიკოსები. გაერთიანება ამ პროცესში არ არის უადგილო, მაგრამ, როდესაც მინიმალური მხარდაჭერა გაქვს და მხოლოდ რამდენიმე პროცენტია ეს მხარდაჭერა, დიდ პარტიას არ უნდა შესთავაზო, მოდი, ისე მოიქეცი, როგორც მე გიკარნახებ.

***– თქვენ საუბრობთ ვაშაძის, ჯაფარიძისა და ხოშტარიას შეთავაზებაზე დანარჩენი ოპოზიციისთვის, უფრო კონკრეტულად, ნაციონალური მოძრაობისთვის?***

– დიახ. მათ შეეძლოთ კონსულტაციები გაემართათ. აზრები გაეცვალათ და შემდეგ ეთქვათ საზოგადოებისთვის, ამომრჩევლისთვის – გვქონდა ასეთი იდეა, მაგრამ არ გამოვიდა. ოპოზიცია ერთმანეთში ვერ გარკვეულა, ვერ გადაუწყვეტია, როგორ ჯობია, რა მოუტანს მათ შედეგებს. როდესაც ეს ჩანს და ძალიან მარტივად იგრძნობა, რა თქმა უნდა, ეს აბნევს ამომრჩეველს და არავითარი შედეგი არ მოაქვს. პირდაპირ რომ ვთქვათ, ამომრჩევლის იმედგაცრუებას იწვევს. მოქალაქეებმა არ იციან, ხვალ არჩევნები რომ იყოს, რას გვთავაზობს ოპოზიცია. როგორია მათი ხედვა. გასაგებია, რომ არსებული ხელისუფლება არ ვარგა, მაგრამ თვითონ რითი ჯობიან, ეს უნდა დაანახონ ამომრჩეველს, ამის გარეშე არაფერი არ გამოვა. ოპოზიციამ, ბიძინა რომ არ იქნება, მერე რა იქნება, ამაზე უნდა გააკეთოს აქცენტი. ერთი ძველი ანდაზისა არ იყოს „ვაის გავეყარე და უის შევეყარე“, რომ არ ვთქვათ.

***– 2024 წლის არჩევნებისთვის არა მხოლოდ ოპოზიცია, „ქართული ოცნებაც“ ემზადება, რაც აშკარაა. „ხალხის ძალა“ შეიძლება ამ კონტექსტში განვიხილოთ?***

– დიახ, ეს შეიძლება იყოს „ოცნების“ პოლიტიკური სვლა, რომ მომავალში, თუ მათ დასჭირდათ ხელისუფლების გაყოფა ვინმესთან, ეს იყოს მათიანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი განაყოფი.

კიდევ კარგი, 2023 წელს არ არის არჩევნები და ორი წლის შემდეგ არის, რადგან ოპოზიციას აქვს საკმარისზე მეტი დრო, რომ მოემზადოს. მომავალ წელს რომ იყოს არჩევნები, ჩათვალეთ, რომ ოპოზიცია სრულიად მოუმზადებელი გავიდოდა არჩევნებზე. იმედი მაქვს, ამ ორ წელიწადში ლიდერთა ახალი თაობა გამოჩნდება. ახალგაზრდები, რომლებიც ბევრად უფრო კრეატიულები იქნებიან და ბევრად უფრო საინტერესოს შესთავაზებენ ამომრჩეველს. თუ არ გამოჩნდება პოლიტიკოსთა ახალი თაობა, მაშინ ძველებს მოუწევთ ტექტონიკური ცვლილებები როგორც საკუთარ თავში, ისე ამომრჩეველს უნდა დაანახონ ის მეტამორფოზა, რომლის გარეშეც გამარჯვება, უბრალოდ, შეუძლებელი იქნება.

***– თუ ასე არ მოხდა?***

– თუ ასე არ მოხდა, მაშინ მართლაც გაჩნდება საფუძველი ბიძინა ივანიშვილის 2030 წლამდე მმართველობის, შეიძლება განგრძობადი პერსპექტივითაც. ამაზე უნდა დაფიქრდნენ. თუ რამე განსაკუთრებული არ მოხდა, არსებული ოპოზიციის შანსები არჩევნებზე ძალიან დაბალია. გაერთიანების მცდელობა უკვე განწირულია. მე ვიტყოდი, საერთოდ, ქართული პოლიტიკა ღრმა კრიზისშია. კრიზისია როგორც პოლიტიკური თაობის, ისე პოლიტიკის.

# „მოსახლეობის გაღარიბება გრძელდება“

## ნიკა შენგელია: „დეკემბერში პურის, რძის პროდუქტების, ხორცის ფასი კიდევ უფრო გაიზრდება“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ნიკა შენგელია პასუხობს.**

***– ბატონო ნიკა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის ეკონომიკურ პროცესებს? ბოლო თვეებია შესამჩნევი ტენდენციაა, რომ დოლარი და ევრო ლართან მიმართებაში ქვემოთ მოდის, უფასურდება, პროდუქტები კი ძვირდება და მოსახლეობა დღითიდღე ღარიბდება. რა ხდება? იქნებ ავხსნათ მოსახლეობისთვის გასაგებ ენაზე?***



– დაგეთანხმებით. ლარი მყარდება და ლარის გამყარების ყველაზე ძლიერი ფაქტორი გახლავთ ის ჭარბი სავალუტო შემოდინებები, რომელიც იცვლება ტრანზაქციების სახით. ასევე მთავარი არის 24 თებერვლის შემდეგ ემიგრანტებთან ერთად შემოსული თანხები. დეკემბრის ბოლოს ჩვენ ვნახავთ მონაცემებს, რომ წელს საქართველოში შემოსულია 8 მილიარდზე ცოტა მეტი ლარი. ეს ოფიციალური მონაცემებით და არაოფიციალური მონაცემებით, ვფიქრობ, რომ ეს ციფრი გაორმაგებულია. ეს ის თანხაა, რომელიც საქართველოს ეკონომიკაში არ წარმოქმნილა და ასე, ჟუჟუნა წვიმასავით დაეცა საქართველოს, აი ამ პროცესების გამო. გამომდინარე აქედან, ბანკებში არის ჭარბი ვალუტა და ამიტომ ლარის კურსი არის ისეთი, როგორიც გვაქვს. ანუ გამყარებული.

***– საუბარია, რომ ქვეყანა ძირითადად დამოკიდებულია იმპორტზე, დოლარის და ევროს კურსი დაბალია. მაღალ ფასს ლარის გაუფასურებას ვერ დააბრალებენ, რატომ არის პირველადი მოხმარების პროდუქტები ასეთი ძვირი, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ?***

– კი, თეორიულად ასეა, მაგრამ საქმე ისაა, რომ იმდენად მაღალია სამომხმარებლო ინფლაცია და საბაზრო ინდექსი იმდენად გაუფასურებული, ჩვენ ძირითადად ვისთანაც ვვაჭრობთ, ეს არის ნომერი პირველი თურქეთი და ნომერი მეორე ქვეყანა რუსეთი. ძირითადად ამ ქვეყნებთან მიდის ვაჭრობა. თურქეთში სამომხმარებლო ინფლაცია 85%-ს გაცდა, რუსეთში სადღაც 14-15%-ია. შესაბამისად, ნედლეული იქნება თუ პროდუქტი თუ სხვა საქონელი, ყველაფერი ძვირია. შესაბამისად, ლარის გამყარება დოლართან და ევროსთან მიმართებაში ამ ყველაფერზე ვერ აისახება. რადგან ადგილზეა ყველაფერი ძვირი. ასევე მეორე პრობლემა, ემიგრანტებიდან გადმორიცხული თანხები, რომელიც ოჯახს საარსებოდ ჰქონდა, ახლა საარსებოდ ველარ ჰყოფნის, რადგან კურსი ძალიან დაბალია.

***– კიდევ უფრო გაღარიბდა მოსახლეობა.***

– რა თქმა უნდა, ასეა. მოსახლეობა კიდევ უფრო გაღარიბდა და ეს პროცესი ჯერჯერობით არ გაჩერდება. თუმცა დეკემბერში, ნოემბრის 20-დან ველოდებით, რომ 2,80-მდე ავიდეს ლარის კურსი დოლართან მიმართებაში, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იქნება და იანვრიდან ისევ დაიწევს და ლარი დასტაბილურდება.

***– ბატონო ნიკა, ახლა არის იმის შიში და მოლოდინი, რომ პურის ფასიც მოიმატებს. რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, საუბარია, რომ ხორბლის ფასიც მოიმატებს. აქ რა მოლოდინები გვაქვს?***

– რაც შეეხება პურს, აქ მოლოდინი ისეთივეა, როგორიც გვქონდა თვეების წინ. ჩვენ ველოდებით პურის ფასზე 10%-იან მატებას, დაახლოებით დეკემბრის 20 რიცხვისთვის. გამომდინარე იქიდან რომ ხორბალზე ექსპორტის თანხამ მოიმატა და დაახლოებით ეს 15 დოლარამდეა. ჩვენთან ხორბალი არ შემოაქვთ, პურის ფქვილი შემოაქვთ, მაგრამ პურის ფქვილზეც იგეგმება ფასების ზრდა. ამიტომ ჩვენ ამ მომენტს ვერ გავექცევით. გარდა პურის ფქვილისა, პურს სჭირდება მარილი, საფუარი და ესეც გაძვირებულია. გამომდინარე აქედან, პურის ფასი მოიმატებს.



***– კიდევ რა პროდუქტებზე ელოდებით ფასების ზრდას?***

– პროდუქტებზე ფასების ზრდას ველოდებით დეკემბრის თვეში. რძის პროდუქტებზე ველოდებით ფასების ზრდას, კვერცხზე ველოდებით ასევე ფასების ზრდას. ხორცზე დაახლოებით 5-დან 7%-მდე.

***– ინფლაციის დონეზე რას იტყვით? შევინარჩუნებთ ამ მაჩვენებელს თუ კიდევ მოიმატებს?***

– ინფლაცია ჩვენთან ძალიან მაღალია. სამწუხარო ის არის, რომ ინფლაციის ამ მაჩვენებელში, ნახევარზე მეტი მოდის სწორედ სასურსათო და გადამამუშავებელ მრეწველობაზე.

***– რაც ყველაზე მეტად ურტყამს მოსახლეობას.***

– დიახ, სწორედ იმაზე, რაც ყველაზე საჭიროა მოსახლეობისთვის, არსებობისთვის სწორედ იქ არის ყველაზე მაღალი ინფლაცია. სურსათზე ინფლაცია დადგინდა 15%-მდე. ეს შარშანდელ მონაცემებთან შედარებით, ხოლო თუ რამდენიმე წლის წინანდელ მონაცემებს თუ ავიღებთ, ვნახავთ, რომ ფასი 100%-ით და ზოგან მეტითაცაა მომატებული.

***– ბატონო ნიკა, როდესაც პრემიერი გამოდის და აცხადებს, რომ გვაქვს სერიოზული ეკონომიკური ზრდა, ვაოცებთ მთელ ევროპასო, ამ დროს კი მოსახლეობა ღარიბდება, შიმშილის პირასაა და ქვეყნიდან გარბის. ხელფასები არ იმატებს და არსებული ხელფასი არაფერში ჰყოფნით. ამ ფონზე რაში გამოიხატება ეკონომიკური ზრდა და დუღილი? საკუთარი გადმოსახედიდან ზომავენ ეკონომიკურ მაჩვენებელს?***

– ეკონომიკური ზრდა ჩვენ გვაქვს მხოლოდ ციფრებში! ეს ეკონომიკური ზრდა გამოწვეულია სწორედ ინფლაციით და ფასების მატებით. ასევე იმ ფულიდან, რომელიც შემოვიდა საქართველოში. თუ ინფლაცია იქნება უფრო მაღალი, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდაც იქნება უფრო მაღალი. მოსახლეობას ხელფასები არ ეზრდება. ხელფასები ეზრდებათ მხოლოდ საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულებს. კერძო სექტორს, თვითდასაქმებულებს, ხელფასები არ გაზრდიათ. უმძიმეს მდგომარეობაშია ხალხი. ისტორიული ფასებია! ვის ახსოვს ამ პერიოდში პომიდორი 6-7 ლარი? ჩვენ ევროპის ფასებს ბევრად გადავაჭარბეთ. ხარისხით ბევრად ჩამოვუვარდებით, ფასებით კი ძალიან მაღლა ვართ. ამაზე აქცენტს არავინ აკეთებს. არანაირი დადებითი მოლოდინი არ მაქვს. ფასები ვერ დაიკლებს და ინფლაციაც იქნება. მოსახლეობა მიზანმიმართულად შეჰყავს ხელისუფლებას შეცდომაში. ეს უნდა ითქვას. ვისაც ჩემი ნათქვამი ეწყინება, ცივი წყალი დალიოს.

# თბილისსა და სამეგრელოში „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 5 პირი დააკავეს

პოლიციამ თბილისსა და სამეგრელოში „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი 5 პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 1995 წელს დაბადებული რ. დ. და 1977 წელს დაბადებული ლ. მ. „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ბრალდებით არიან დაკავებული, ხოლო 1982 წელს დაბადებული დ. მ., 1995 წელს დაბადებული ჩ. გ. (მეტსახელად „ჩიკო“), 1964 წელს დაბადებული თ.ბ. პოლიციამ „ქურდული სამყაროს“ წევრობისთვის დააკავა.

– გამოძიებით დადგინდა, რომ რ. დ.-მ და ლ. მ.-მ არსებული ფინანსური დავის მოსაგვარებლად მიმართეს „ქურდული სამყაროს“ წევრებს – დ. მ.-ს, თ. ბ. და ჩ. გ.-ს.

კომპლექსური გამოძიებით კი დადგინდა, რომ ბრალდებულები – „ქურდული სამყაროს“ წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ დანაშაულებრივ საქმიანობაში და მოქალაქეების მიმართვის საფუძველზე, მოდავე მხარეებს შორის არსებული ფინანსური დავების მოგვარების, სადავო საკითხების „ქურდული წესების“ შესაბამისად განხილვისა და მათი თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვეტის მიზნით, ე.წ. ქურდულ გარჩევებს აწყობდნენ, გადაწყვეტილებების აღსრულებას პირადად აკონტროლებდნენ და მოდავე მხარეებიდან ერთ-ერთს სადავო თანხის მიტანას აიძულებდნენ.



ბრალდებულმა „ქურდული სამყაროს“ წევრებმა მოდავე მხარეებს შორის არსებული დავის გადაწყვეტის მიზნით, თბილისსა და სამეგრელოში რამდენჯერმე მოაწყვეს ე.წ. ქურდული გარჩევები, – წერია შსს-ს განცხადებაში.

პოლიციამ, ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ. ასევე ნივთმტკიცებად ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის და „ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვის ფაქტზე, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით და 223-ე მე-4 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს. დანაშაულები 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# რუსეთში ორხელისუფლებიანობის დამკვიდრებას ცდილობენ

## „ვაგნერი“ პუტინსაც დაასამარებს?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოზე, ისევე, როგორც რეგიონის სხვა სახელმწიფოებზე, პირდაპირ გავლენას ახდენს აგრესორ რუსეთში მიმდინარე პროცესები და, რა თქმა უნდა, უკრაინაში მიმდინარე ომი.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა რუსეთის წარმომადგენელთა (პუტინის ოპონენტების) ყრილობა პოლონეთში. კერძოდ, ქალაქ იაბლონნაში 5-7 ნოემბერს გაიმართა სახალხო დეპუტატების პირველი ყრილობა.

მანამდე უცხოეთში ტარდებოდა კრემლის კრიტიკოსების სხვა სახის შეკრებები – ოპოზიციონერების „თავისუფალი ფორუმი“, ასევე „რუსეთის თავისუფალ ხალხთა ფორუმი“.

იაბლონნაში შეიკრიბნენ პირები, რომლებიც ჩართული არიან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სხვადასხვა დროს იყვნენ არჩეული სახელმწიფო დუმაში ან ადგილობრივ საკრებულოებში 90-იანი წლებიდან დღემდე და მზად არიან წინააღმდეგობა გაუწიონ პუტინის რეჟიმს, შეცვალონ რუსეთის ხელისუფლება.

### „იდეალური ვარიანტია ორხელისუფლებიანობა“

სახალხო დეპუტატების ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, ყოფილი დეპუტატი ილია პონომარიოვი რუსულენოვან „ამერიკის ხმასთან“ ამბობს:

– წინააღმდეგობას შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს. არ არის აუცილებელი, რომ ის ძალისმიერი იყოს, თუმცა მიმაჩნია, რომ ამის გარეშე არ შეიძლება. არიან ადამიანები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ მიტინგებს, იცავენ უფლებებს, ქმნიან ინტერნეტ-საიტებს და ა.შ. ეს ყველაფერი ხელს უწყობს წინააღმდეგობას. მთავარია, ეს მოქმედებები მოექცეს ერთიან კონცეფციაში, ერთმანეთთან კოორდინაციაში იყოს მოყვანილი და მუშაობდეს რეჟიმის შეცვლის ერთიან ამოცანაზე და არა კონკურენციაზე სხვადასხვა ოპოზიციონერ ბელადს შორის.



პუტინის მოწინააღმდეგე პონომარიოვი მიზანშეწონილად თვლის ბელარუსის გამოცდილების გადმოღებას და ისეთი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომლის გადაწყვეტილებები ლეგიტიმური იქნება.

**ილია პონომარიოვი:**

– შესაძლებელია გადაწყდეს საკანონმდებლო ინიციატივების ლეგიტიმაციის პრობლემა – ბელარუსებისთვის ეს უფრო ადვილია. მათ ჰყავთ ტიხანოვსკაია, რომელმაც გაიარა არჩევნები. ის, შესაძლოა, ყველას არ მოსწონს, მაგრამ მისი იგნორირება შეუძლებელია. რუსეთში დიდი ხანია არ ჩატარებულია არჩევნები, რომლებიც კანონიერად ჩაითვლება. თუმცა, არჩევნები მაინც იყო. ჩვენ გადავწყვიტეთ მათი გაერთიანება, ვინც დროის სხვადასხვა მომენტში მიიღო რუსი ხალხის მანდატი.

პონომარიოვის თქმით, ამ ეტაპზე რუსეთში მიზანშეწონილია ორხელისუფლებიანობა:

– იდეალური ვარიანტი იქნებოდა ორხელისუფლებიანობა, როგორც ეს იყო რუსეთში 1917 წელს თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციებს შორის. ვისურვებდი, რომ გაჩნდეს სტრუქტურა ან ორგანო, რომელსაც აღიარებენ მომავალ გარდამავალ პარლამენტად.

სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე საუბრობს ყოფილი დეპუტატი არკადი იანკოვსკი.

**არკადი იანკოვსკი:**

– მომწიფდა ნიშის შევსების აუცილებლობა. უნდა შეიქმნას ახალი პოლიტიკური ინსტრუმენტი იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც შემორჩათ ლეგიტიმურობა. ისინი ხალხმა აირჩია პუტინის დროს, ან პუტინის მმართველობამდე, მათ აქვთ ხალხის ნდობა. ისინი აგრძელებენ პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ საქმიანობას. სვეტლანა ტიხანოვსკაია გახდა საერთაშორისოდ აღიარებული ლიდერი და ხელისუფლების უზურპატორი ალექსანდრე ლუკაშენკოს საპირწონე.

როგორც ჩანს, პუტინს საფრთხე მხოლოდ სხვადასხვა ოპოზიციონერისგან არ ექმნება. პუტინს შეიძლება ძირი გამოუთხარონ მისმა მომხრეებმა. უკრაინელი პუბლიცისტი დენის პოპოვიჩი პუტინის აშკარა კონკურენტად განიხილავს კერძო სამხედრო კამპანია „ვაგნერის“ ხელმძღვანელ ევგენი პრიგოჟინს, რომელიც პუტინზე უკეთესი არ არის.

### პრიგოჟინი პოლიტიკური სუბიექტი ხდება

4 ნოემბერს სანკტ-პეტერბურგში გაიხსნა ვაგნერის ცენტრი. გაცხადდა, რომ ცენტრში იმუშავებენ თავდაცვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიის სპეციალისტები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად.

**დენის პოპოვიჩი:**

– პრიგოჟინს გადაწყვეტილი აქვს, გახდეს რუსეთში პოლიტიკური ბრძოლის სუბიექტი. ეს კრემლის მოქმედ რეჟიმს კარგს არაფერს უქადის. კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ დამფუძნებელს, ბიზნესმენს, რომელსაც „პუტინის მზარეულად“ იცნობენ, საკუთარი რეზონები აქვს – ცენტრი გახდება ჰაბი, სადაც დამუშავდება სამხედრო საკითხები, დაიგეგმება საინფორმაციო ოპერაციები. პრიგოჟინის თქმით, პროექტის წარმატებისა და აქტუალურობის შემთხვევაში, მოსალოდნელია მისი ფილიალების გახსნა რუსეთის სხვა ქალაქებში. 2022 წლის გაზაფხულზე „ვაგნერელები“ უკრაინაში მოავლინეს. მათ დიდი დანაკარგი განიცადეს. მას შემდეგ პრიგოჟინი ადამიანურ რესურსს უფრო აკურატულად უდგება. ის დადის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში და უკრაინის შემდგომი ბრძოლებისთვის აგროვებს პატიმრებს. „ვაგნერის“ საერთო რაოდენობა 20-30 ათასი კაცია. უკრაინაში მოვლინებულია მხოლოდ 5 ათასი. დანარჩენები (მათ შორის პატიმრები, პრაქტიკულად არ არიან) ვარჯიშობენ რუსეთის პოლიგონებზე.

უკრაინელი პუბლიცისტი განმარტავს, თუ როგორ ერევა „პუტინის მზარეული“ გადაწყვეტილებების მიღებაში:

– სწორედ პრიგოჟინისა და ჩეჩნეთის ლიდერ რამზან კადიროვის ძალისხმევით გადააყენეს პოსტიდან უკრაინაში დაჯგუფება „ცენტრის“ მეთაური, გენერალი ალექსანდრე ლაპინი და ის შეცვალეს ანდრეი მორდვიჩევით. ლაპინის ისტორიამ სერიოზულად აღაშფოთა გენერლები. დადის ხმები, რომ მათ პრიგოჟინთან და კადიროვთან ანგარიშსწორება სურთ. ეს ჭორებია, პრიგოჟინის სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორთან დაკავშირებული ქმედებები კი, ჭორები კი არა, რეალობაა. პრიგოჟინმა სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორ ალექსანდრ ბელოვს გენპროკურატურაში უჩივლა. „ვაგნერის“ დამფუძნებელი მოითხოვს, რომ პროკურატურამ შეისწავლოს, შექმნა თუ არა გუბერნატორმა ორგანიზებული დანაშაულებრივი თანამეგობრობა სახელმწიფო ბიუჯეტის გასაძარცვავად. ასეთი მოქმედებები შეიძლება შეფასდეს, როგორც თვითონ პუტინის მიერ მოყვანილი პირების კარიერაზე გავლენის მოხდენად.

დენის პოპოვიჩის დასკვნით, „ვაგნერი“ ყალიბდება ძალის ალტერნატიულ ცენტრად, რომელიც მნიშვნელობით გაუტოლდება ოფიციალურ სტრუქტურებს და შეარყევს პუტინის ძალაუფლების ვერტიკალს.

– ასეთ სიტუაციაში პრიგოჟინის კერძო არმია უეჭველად გახდება ძალაუფლებისთვის ბრძოლის ინსტრუმენტი, ხოლო თავად პრიგოჟინი – ფიგურა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ დღის წესრიგს რუსეთში, – ამბობს უკრაინელი პუბლიცისტი.

---

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

განუწყვეტელი შეტევები, რომლებსაც ახორციელებენ ოკუპანტები ბახმუტის მიდამოებში, განაპირობა შემდეგმა მიზეზებმა: 1) პუტინის სურვილი ხარკოვსჩინაზე მარცხის შემდეგ თუნდაც რაიმე წარმატებას მიაღწიოს; 2) კადიროვ-პრიგოჟინის დაჯგუფების გავლენის ზრდა. ეს დაჯგუფება გენერალიტეტს სულ უფრო ავიწროებს, ახალ-ახალი შეტევების განხორციელებას მოითხოვს. შედეგად ოკუპანტებმა ვერავითარ ხელშესახებ შედეგებს ვერ მიაღწიეს. სამაგიეროდ, მათ რიგებში მსხვერპლი გაიზარდა. დღეისათვის ამ მხრივ შემდეგი სურათია:

ტანკები – 2.765, საარტილერიო სისტემები – 1.781, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემები – 202, განადგურებულია 75.930 ოკუპანტი.

# ხერსონში პროვოკაციები გაიზარდა



როგორც მოსალოდნელი იყო, ოკუპირებულ ხერსონში რუსული პროვოკაციები გაიზარდა. ქალაქში ერთი-მეორის მიყოლებით რამდენიმე აფეთქება მოხდა. შედეგად მთელი ხერსონის ოლქი შუქის გარეშე დარჩა.

– აფეთქებები უკრაინელმა დივერსანტებმა მოაწყვეს, – განაცხადა ადგილობრივი კოლაბორაციონისტების ერთ-ერთმა ლიდერმა ოსტროუსოვმა.

საქმე მარტოოდენ ამით არ შემოიფარგლა. რუსმა ოკუპანტებმა განახორციელეს აფეთქება კახოვკის ჰესთან.

– უკრაინელმა დივერსანტებმა კახოვკის ჰესის აფეთქება სცადეს! შედეგად ხერსონს დაემუქრა ჩაძირვა, – ამტკიცებს რუსეთის დიქტატორი პუტინი.

# რუს და ბელორუს სამხედროებს შორის დაძაბულობა იზრდება



პუტინის ბრძანებით, ბელორუსში დამატებით განათავსეს კიდევ 9.000 რუსი ჯარისკაცი. პრეზიდენტ ლუკაშენკოს დავალებით მათ ზარზეიმით შეხვდნენ. რუსებს მიართვეს პურ-მარილი და ამით აგრძნობინეს, რომ ძვირფასი სტუმრები არიან.

განსხვავებული სიტუაციაა რუს და ბელორუს სამხედროებს შორის. მათ შორის სულ უფრო ხშირია კონფლიქტები. ჩხუბის მიზეზი რუსი ჯარისკაცების თავხედური საქციელია. ისინი ლოთობენ, შემდეგ ბელორუსებს მასხრად იგდებენ. სამხედრო პოლიცია რუსების წყენინებას ერიდება და კონფლიქტებში არ ერევა. ამან ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. რამდენიმე რუსი სალდათი მაგრად მიიბეგვა. შეშინებული ლუკაშენკო საქმეში მხოლოდ ამის შემდეგ ჩაერია და თავისი თანამემამულეები გაამტყუნა.

– რას შვრებით, ომი გინდათ?! – გამოაცხადა ტელევიზიით ლუკაშენკომ.

# თურქმენეთი მზადაა ევროპას გაზი მიაწოდოს



თურქმენეთის პრეზიდენტმა ბერდიმუხამედოვმა განაცხადა, რომ მზადაა ევროპას დაეხმაროს ზამთრის გადატანაში. მან გამოთქვა მზადყოფნა, მიაწოდოს ევროპას გაზი.

– როგორც ჩანს, წლევანდელი ზამთარი რთული იქნება! ჩვენც მზადა ვართ, ევროპელებს ზამთრის გადატანაში დავეხმაროთ, – თქვა ბერდიმუხამედოვმა.

*მოამზადა ნიკა თევზაძე*

# გურამ დოჩანაშვილის სახელი ჩუღურეთის ხიდს მიენიჭა

კლასიკოსი მწერლის გურამ დოჩანაშვილის სახელი თბილისში, ჩუღურეთის რაიონში მდებარე ხიდს მიენიჭა.

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინფორმაციით, საკრებულოს სხდომაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებაზე იმსჯელეს და წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით, თბილისში მდებარე რამდენიმე გეოგრაფიულ ობიექტს ახალი სახელი დაერქვა.



საკითხები სხდომაზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ნინო ვარდოსანიძემ წარადგინა:

ჩუღურეთის რაიონში, ჩუღურეთის ხიდს მწერლის, გურამ დოჩანაშვილის სახელი მიენიჭა. ჩუღურეთის რაიონში, ჭოროხის ქუჩას ფოლკლორისტის, ანზორ ერქომაიშვილის სახელი მიენიჭა. მთაწმინდის რაიონში, თბილისის ქუჩის მონაკვეთს, მასთან არსებულ ერთ ჩიხს და ერთ შესახვევს რეჟისორისა და მხატვრის, რევაზ გაბრიაძის სახელი მიენიჭა. ჩუღურეთის რაიონში, ვლადიმერ კანკავას ქუჩას კომპოზიტორის, გომარ სიხარულიძის სახელი მიენიჭა. ჩუღურეთის რაიონში, გაბრიელ სუნდუკიანის ქუჩის შესახვევს ფოლკლორისტის, კუკური ჭოხონელიძის ქუჩის სახელი მიენიჭა. ისნის რაიონში, კონსტანტინე ცუცქირიძის ქუჩის მონაკვეთს და იორის შესახვევის მონაკვეთს არქიტექტორის, გიგა ბათიაშვილის სახელი მიენიჭა. დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ სკვერს მომღერლის და მუსიკოსის, ჯემალ ჭკუასელის სახელი მიენიჭა. გლდანის რაიონში, მუხიანში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მომღერლის, ზურაბ ბაკურაძის სახელი მიენიჭა. ისნის რაიონში, ნავთლუღის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს საბერძნეთის სახელი მიენიჭა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილი*

# ცოლ-ქმრის განზრახ მკვლელობის საქმეზე ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა




თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და ქურდობის ფაქტზე ბრალდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

– სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ბრალდებულისთვის, რომელიც თელავის რაიონის სოფელ კონდოლში მდებარე ერთ-ერთ მეცხოველეობის ფერმაში მუშაობდა, ცნობილი გახდა, რომ მასთან ერთად მომუშავე ცოლ-ქმარს 20.000 აშშ დოლარი ჰქონდათ შენახული. 2022 წლის 10 თებერვალს, ბრალდებულმა აღნიშნული თანხის დაუფლების მიზნით, უკანონოდ მოპოვებული გლუვლულიანი იარაღიდან დამიზნებით ესროლა ცოლ-ქმარს, რომლებიც მიყენებული ჭრილობების შედეგად ადგილზე გარდაიცვალნენ. ასევე, ბრალდებული დაემუქრა გარდაცვლილების არასრულწლოვან შვილს და ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით, ძალის გამოყენებით დააბა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პროკურატურამ დანაშაულის ჩამდენ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ „გ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში ორი პირისა, ჩადენილი ანგარებით), 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ მე-3 ნაწილის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის დაფარვის ან გაადვილების მიზნით, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით და ასეთის ძალადობის გამოყენების მუქარით), აგრეთვე 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარუდგინა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ორსულ ცოლზე მოძალადე კაცი სასამართლომ გაამართლა

კაცი, რომელმაც ორსულ ცოლზე ფიზიკურად იძალადა, სასამართლომ გაამართლა, – ამის შესახებ ინფორმაციას „მოზაიკა“ ავრცელებს.

გამოცემა წერს, რომ ხაშურში მამაკაცმა ორსულ მეუღლეზე ფიზიკურად იძალადა, თუმცა დაზარალებულმა უარი თქვა ქმრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე.

– დაახლოებით 18:30 საათზე ქალაქ ხაშურში მდებარე ბენზინგასამართ სადგურის ტერიტორიაზე, გ.გ-მ მასთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის, წინასწარი შეცნობით, ორსული ქალის მ.ტ.-ს მიმართ განახორციელა ფიზიკური ძალადობა, კერძოდ, ხელი გაარტყა სახის არეში. გ.გ.-ს ძალადობრივი ქმედებების შედეგად დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი, – წერია საქმის მასალებში. საქმე მოსამართლე ზაზა რამიშვილმა განიხილა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გ.გ.-ს მიმართ აღკვეთი ღონისძიება პატიმრობა გაუქმდა და ბრალდებული სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდა.

# საკონსტიტუციო სასამართლომ „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ კონსტიტუციური სარჩელი არ დააკმაყოფილა

საკონსტიტუციო სასამართლომ „შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ №1688 კონსტიტუციური სარჩელი არ დააკმაყოფილა.

როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, დავის საგანი „შალვა ნათელაშვილისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 15 თებერვლის №1362-VIIIმს-Xმპ დადგენილების კონსტიტუციურობა წარმოადგენდა საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტთან მიმართებით.

– განსახილველ საქმეზე სადავოდ გამხდარი დადგენილებით საქართველოს პარლამენტმა მოსარჩელე შალვა ნათელაშვილს ვადამდე შეუწყვიტა საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება პარლამენტის მორიგი სესიის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით მორიგი სხდომების ნახევარზე მეტზე დაუსწრებლობის გამო. მოსარჩელის მითითებით, პარლამენტის სხდომებზე დაუსწრებლობა განპირობებული იყო მისი საპარლამენტო ბოიკოტის რეჟიმში ყოფნით. მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო გადაწყვეტილება მიღებულია პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. საქართველოს კონსტიტუცია არ არეგულირებს საპარლამენტო ბოიკოტის რეჟიმში მყოფი პარლამენტის წევრებისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს და, შესაბამისად, არ არსებობს კონსტიტუციური ნორმა, რომლის საფუძველზეც, მსგავს შემთხვევაში, პარლამენტის წევრს შეუწყდება უფლებამოსილება.

მოპასუხეს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისთვის, საპარლამენტო ბოიკოტის დეფინიციას ადგენს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც, ბოიკოტი განიმარტება როგორც პარლამენტის წევრის მიერ პლენარულ სხდომაზე კონკრეტული საკითხების გადაწყვეტასა და განხილვაზე უარის თქმას გარკვეული პოლიტიკური შეხედულებებიდან და პოზიციიდან გამომდინარე და იგი არ გულისხმობს ბოიკოტის რეჟიმში მყოფი სუბიექტის უფლებას, იმავე მოწვევის ფარგლებში, განუსაზღვრელი და, მით უფრო, მთელი უფლებამოსილების ვადით, ბოიკოტი გამოუცხადოს პარლამენტის ყველა სხდომას და ზოგადად საპარლამენტო საქმიანობას. ამასთან, მოპასუხეს მითითებით, მოსარჩელემ არ დაიცვა საპარლამენტო ბოიკოტის გამოცხადებისთვის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი აუცილებელი პროცედურული მოთხოვნები, – ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, უპირველესად, განმარტა პარლამენტის ინსტიტუციური მნიშვნელობა და შინაარსი ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში, პარლამენტის წევრის სტატუსისა და ფუნქციების გათვალისწინებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, პარლამენტი არის ის კონსტიტუციური ორგანო, რომელიც საკუთარი კანონშემოქმედებითი საქმიანობით პრაქტიკულ დონეზე ასახავს ხალხის პოლიტიკურ ნებას საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში. ამასთან, აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის კონტროლით ქმნის მყარ გარანტიებს სახელმწიფო ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მექანიზმის პრაქტიკაში სათანადო ფუნქციონირებისთვის.

– საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პარლამენტის მიერ ზემოხსენებული ფუნქციების განხორციელება შეუძლებელია, საკუთრივ, პარლამენტის წევრთა მიერ საპარლამენტო საქმიანობაში აქტიური ჩართულობის გარეშე, ვინაიდან სწორედ მათი თავისუფალი მანდატის გამოყენებით ხდება შესაძლებელი დემოკრატიული პოლიტიკური პროცესების მსვლელობა და საზოგადოების პოლიტიკური ნების პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობა.

გარდა აღნიშნულისა, პარლამენტის წევრთა მიერ საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობის მიუღებლობით, იმთავითვე, საფრთხე ექმნება პარლამენტის ფუნქციაუნარიანობას, საფრთხის ქვეშ დგება მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებების ეფექტიანად შესრულება, რაც ნეგატიურად აისახება როგორც წარმომადგენლობით და პლურალისტურ დემოკრატიაზე, ასევე საზოგადოებრივი ურთიერთობის ფართო სპექტრზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო დადგენილების კონსტიტუციურობის შეფასების მიზნებისთვის განმარტა საპარლამენტო ბოიკოტი, როგორც გაცდენათა საპატიო მიზეზი და მისი კონსტიტუციურსამართლებრივი ფარგლები. სასამართლოს შეფასებით, დემოკრატიულ სახელმწიფოში საპარლამენტო ბოიკოტი რიგ შემთხვევებში პოლიტიკური ბრძოლის დასაშვებ მექანიზმს წარმოადგენს საზოგადოების ინტერესების სასიკეთოდ, რომელსაც პოლიტიკური აქტორები იყენებენ სტრატეგიული თუ ტაქტიკური კუთხით, გარკვეული საკითხების მწვავედ დაყენებისა თუ მათი რეზონანსულობის წარმოსაჩენად, თუმცა იგი არ გულისხმობს პარლამენტის წევრთა უფლებას მთელი ვადის განმავლობაში არც ერთ სხდომაზე ბოიკოტის უფლებაზე დაყრდნობით არ მიიღონ მონაწილეობა. კონსტიტუციის მიზნებისთვის ბოიკოტის ასეთ ფართო გაგებას არ ადგენს კონსტიტუციური მართლწესრიგი.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ, საქართველოს კონსტიტუციის მიზნებისთვის, ბოიკოტის უფლების პარლამენტის წევრის უფლებამოსილების მთელ ვადაზე განვრცობა დააზარალებს პლურალისტური პარლამენტის იდეას, შეაფერხებს საპარლამენტო ცხოვრებაში განსხვავებულ აზრთა ცირკულაციას, კანონმდებლობის კონკურენტულ, განსხვავებულ მოსაზრებათა ურთიერთგაცვლის პირობებში მიღებას, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება ამომრჩეველთა უფლებებზე, დემოკრატიულობისა და მთლიანად სახალხო სუვერენიტეტის კონსტიტუციურ პრინციპზე. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი სამართლიან ბალანსს აწესებს პარლამენტის წევრის მიერ პოლიტიკური ბოიკოტის გამოხატვის უფლებასა და მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს შორის და, შესაბამისად, მოსარჩელისათვის საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

# დიმიტრი გვრიტიშვილი: „ბესარიონ ალავიძე, ფაქტობრივად, მოლაპარაკე თოჯინად, მარიონეტად არის გადაქცეული“

– სამწუხაროდ, ვიხილე ღირსებადაკარგული ჩემი კოლეგა, რომელიც „ენჯეო“ სექტორის ხელში, ფაქტობრივად, არის მოლაპარაკე თოჯინად, მარიონეტად გადაქცეული, – ასე ეხმაურება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი, ყოფილი კოლეგის, უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის ბესარიონ ალავიძის მიერ გადაცემა „დროებაში“ გაკეთებულ განცხადებას, რომ, როდესაც ის მოსამართლე იყო, კონკრეტულ საქმეზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, მასზე ზეწოლა ხდებოდა.

დიმიტრი გვრიტიშვილი ალავიძის აღნიშნულ განცხადებას ცილისმწამებლურს უწოდებს და ამბობს, რომ ალავიძესა და მესამე სექტორს შორის გარიგება არსებობს.

– მისი ცილისმწამებლური კამპანიის წარმოების საფუძველია ის, რომ მასა და „ენჯეო“ სექტორს შორის არსებობს გარიგება იმის შესახებ, რომ მსგავსი სიბინძურის, უკადრებლის კადრების სანაცვლოდ, გარანტირებული ექნება პოლიტიკური თავშესაფარი რომელიმე უცხო სახელმწიფოში, დიდი ალბათობით, აშშ-ში, რადგან მანამდეც მსგავსი პრეცედენტი უკვე არსებობდა ერთ-ერთი ყოფილი თანამდებობის პირის მიმართ, როდესაც ეკა გიგაურის წერილის საფუძველზე მას პოლიტიკური თავშესაფარი მიენიჭა. ამიტომ, ბესარიონ ალავიძის შემთხვევაშიც ანალოგიურ მიზანთან და გეგმასთან გვაქვს საქმე.

მეორე საკითხი, ის საუბრობს იმაზე, რომ წლების განმავლობაში მისი და მისი კოლეგების წინააღმდეგ სასამართლო სისტემის მესვეურების მხრიდან ხორციელდებოდა ზეწოლა, ქუჩური გარჩევები ახსენა, თუმცა, როგორც ყოველთვის, კონკრეტული ფაქტები მას არ დაუსახელებია, – აცხადებს გვრიტიშვილი.

ამასთან, დიმიტრი გვრიტიშვილის თქმით, 2017 წელს ბესარიონ ალავიძეს მედიასთან განცხადება აქვს გაკეთებული, რომ არც მანამდე, არც „რუსთავის 2“-ის საქმის განხილვის დროს და არც მას შემდგომ პერიოდში მასზე არანაირი ზეწოლა არ განხორციელებულა.

გვრიტიშვილის მტკიცებით, ბესარიონ ალავიძესა და მესამე სექტორს შორის გარიგების არსებობის თაობაზე თავად ალავიძემ ერთ-ერთ მოქმედ მოსამართლესთან ისაუბრა, თუმცა გვრიტიშვილი განმარტავს, რომ აღნიშნული მოსამართლის სახელსა და გვარს ამ ეტაპზე არ დაასახელებს.

– ამ ეტაპზე მის სახელსა და გვარს არ დავასახელებ, თუმცა, მოვა დრო და დასახელდება, რომელთან საუბარშიც ბესარიონ ალავიძემ აღნიშნა, რომ თუ დარჩება სისტემაში, კარგი, თუ არადა, შემდგომში მას გარანტირებული ექნება უკეთესი საცხოვრებელი პირობები, მისი შვილებისთვის იქნება უზრუნველყოფილი/იყო უკეთესი განათლება, თუ ამ ცილისმწამებლურ და ბინძურ კამპანიას განახორციელებდა „ენჯეოების“ დაკვეთით. ამ გარიგების შესახებ ისაუბრა კოლეგასთან. არ ვამბობ ამ კოლეგის სახელსა და გვარს, თვითონ ერიდება, არც გააჩნია საუბრის კონკრეტული ფაქტები, ზოგადად საუბრობს, ამიტომ, ამ ეტაპზე, ამ კომენტარით შემოვიფარგლები, – აცხადებს დიმიტრი გვრიტიშვილი.

გვრიტიშვილის თქმით, როდესაც ბესარიონ ალავიძე აცხადებს, რომ თურმე სასამართლო სისტემაში არსებობს გაუსაძლისი ვითარება და ე.წ. კლანი თარეშობს, მაშინ ჩნდება კითხვა, რატომ სცადა 2021 წელს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობის კონკურსში მონაწილეობა.

– კონკურსის შედეგების გამოცხადებამდე რატომ მივიდა მის მიერ ე.წ. კლანის წევრად მითითებულ მოსამართლესთან თხოვნით, რომ სისტემაში დაეტოვებინათ და სანაცვლოდ არასდროს არ გამოხატავდა საწინააღმდეგო მოსაზრებას და საქმეთა განხილვის კუთხითაც აბსოლუტურად მორჩილი იქნებოდა, – აცხადებს გვრიტიშვილი.

ამასთან, გვრიტიშვილმა განმარტა, თუ რატომ ვერ გახდა ბესარიონ ალავიძე კონკურსის შემდეგ კვლავ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე.

– როდესაც ბესარიონ ალავიძე, ჯერ კიდევ მოქმედი მოსამართლე, სამარცხვინოდ წარდგა კონკურსში, 30-მდე შეკითხვას ვერ უპასუხა, რა თქმა უნდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭო სხვაგვარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა, თავზე ლაფს ვერ დაისხამდა და ასეთ ულირს და არაკვალიფიციურ კანდიდატს ვერ წარუდგენდა პარლამენტს. აქედან გამომდინარე ბესარიონ ალავიძე გაბრაზებულია სისტემაზე, – აცხადებს გვრიტიშვილი.

შეგახსენებთ, უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ ბესარიონ ალავიძემ გადაცემა „დროებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ ე.წ. კლანისა და ხელისუფლებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს არ მიიღებდნენ მოსამართლეები, მათზე ზეწოლა ხორციელდებოდა.

– ხდებოდა მოსამართლის დაბარება სადმე კაბინეტში, კაფეში, ქალაქში, რესტორანში ან ასე შემდეგ და პასუხის მოთხოვნა მისთვის, რატომ იღებს ის ასეთ გადაწყვეტილებებს და რატომ ფიქრობს ან არ ფიქრობს ისე, როგორც ეს მათ უნდათ, ან რატომ აქვს განსხვავებული აზრი და თუ არ შეიცვლის აზრს, შეექმნება პრობლემები, იქნება იზოლირებული საკუთარი კოლეგებისგან. ეს არის ქუჩური გარჩევა, – აცხადებს ალავიძე.

## მურუსიძე: „არ ვაპირებ ბესო ალავიძის და მისი ოჯახის ლიკვიდაციას“

– თქვენ გჯერათ, რომ ლევან მურუსიძე აპირებს ბესო ალავიძის და მისი ოჯახის ლიკვიდაციას? სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ არ ვაპირებ ბესო ალავიძის და მისი ოჯახის ლიკვიდაციას, მოგონილია ეს, ამიტომ ამ თემისგან არაფერი გამოვა, – ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრმა ლევან მურუსიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც უპასუხა დასმულ შეკითხვას მედიით გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომ ყოფილი მოსამართლე ბესარიონ ალავიძე მის ლიკვიდაციას არ გამორიცხავს იმის გამო, რომ სასამართლო სისტემის მიმართ მწვავე განცხადებებს აკეთებს.

ლევან მურუსიძე ამ განცხადებას არასერიოზულს უწოდებს.

მისი განმარტებით, ალავიძე სასამართლოს შესახებ ცილისმწამებლურ განცხადებას აკეთებს იმიტომ, რომ საზღვარგარეთ თავშესაფრის მიღება სურს.

– ძალიან გთხოვთ, რომ ნუ ცდილობთ ტელევიზიები ზოგადად, ისე გააკეთოთ, რომ იყოთ არაობიექტურები და ჩირქი მოსცხოთ სასამართლო სისტემას. ჩემი მონაცემებით და ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ბესო ალავიძეს სურს, მიიღოს პოლიტიკური თავშესაფარი. ეს დაემთხვა არასამთავრობოების პოზიციას, რომ მათ სურთ გამოიყენონ ყველა ადამიანი, სასამართლოს დისკრედიტაციისათვის. ამ დროს, ფაქტობრივად, ცდილობენ, რომ გამოიყენონ ბესო ალავიძე. მე ვერ დაგეხმარებით იმაში, რომ ეს თემა სკანდალური გახდეს, ვინაიდან, აბსოლუტურად აბსურდულია, – აცხადებს ლევან მურუსიძემ.

მისი განმარტებით, სხვადასხვა დროს, ბესარიონ ალავიძემ და კიდევ სხვა მოსამართლემ პროკურატურაში ჩვენება მისცეს, სადაც განაცხადეს, რომ მათ მიმართ არა მარტო „რუსთავი 2“-ის საქმეზე, არამედ არც ერთ საქმეზე ზეწოლა არ ყოფილა.

– ბესარიონ ალავიძეს, როგორც ჩანს, უნდა პოლიტიკური თავშესაფარი, წინა პლანზე გამოჰყავს საკუთარი ოჯახი, ამბობს, რომ, ვითომ მის სიცოცხლეს ან მისი ოჯახის წევრებს საფრთხე ემუქრება, თქვენ გჯერათ, რომ ჩვენგან საფრთხე ემუქრება მას ან მის ოჯახის წევრებს? ამ აბსურდზე უნდა ვილაპარაკოთ? რაზე ვმუშაობთ, სადმე დავხვდებით ბესო ალავიძეს, მის ოჯახის წევრებს და ავაწიოკებთ, თუ რას ვუზამთ? ეს გათვლილია იმისათვის, რომ თავშესაფარი უნდა. ხვდება ვილაც გარკვეულ პირებს, ისინი ეუბნებიან, მიდი ახლა და სასამართლოს ლაფი შეასხი. უზენაესი მოსამართლეობის ვადა 6 თვით რომ გაუგრძელეს, მაშინ არ იყო „კლანი“? – განაცხადა ლევან მურუსიძემ.

შეგახსენებთ, უზენაესი სასამართლოს ყოფილმა მოსამართლემ ბესარიონ ალავიძემ გადაცემა „დროებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ ე.წ. კლანისა და ხელისუფლებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს არ მიიღებდნენ მოსამართლეები, მათზე ზეწოლა ხორციელდებოდა.

– ხდებოდა მოსამართლის დაბარება სადმე კაბინეტში, კაფეში, ქალაქში, რესტორანში ან ასე შემდეგ და პასუხის მოთხოვნა მისთვის, რატომ იღებს ის ასეთ გადაწყვეტილებებს და რატომ ფიქრობს ან არ ფიქრობს ისე, როგორც ეს მათ უნდათ, ან რატომ აქვს განსხვავებული აზრი და თუ არ შეიცვლის აზრს, შეექმნება პრობლემები, იქნება იზოლირებული საკუთარი კოლეგებისგან. ეს არის ქუჩური გარჩევა, – აცხადებს ალავიძე.

## ზუგდიდში, მშენებარე სტადიონთან განათების ბოძი წაიქცა და ორი მანქანა მოიყოლა

ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში, მშენებარე სტადიონთან განათების ბოძი წაიქცა და ქვეშ ორი ავტომანქანა მოიყოლა. მანქანებში არავინ იმყოფებოდა.

ცნობილია, რომ ამ სტადიონის მშენებლობაზე 10 მილიონამდე ლარი დაიხარჯა. სპორტული ობიექტი 2018 წელს უნდა გახსნილიყო, თუმცა უეფას სტანდარტები არ იყო დაცული. ახლა სტადიონი მიტოვებულია, არ ფუნქციონირებს და არც სამუშაოები მიმდინარეობს.

პირველ ეტაპზე სტადიონის სამშენებლო სამუშაოებს კომპანია „დაგი“ აწარმოებდა, მოგვიანებით კი მისი ქვეკონტრაქტორი.

### კალეიდოსკოპი

## უდანაშაულოდ 30-წლიანი პატიმრობიდან განთავისუფლებული მამაკაცი ხუთ თვეში გარდაიცვალა



აშშ-ში მამაკაცმა 30 წელი ციხეში გაატარა დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია და პატიმრობიდან განთავისუფლებიდან ხუთ თვეში გარდაიცვალა.

65 წლის კლოდ ფრენსის გარეტი თავისი მეგობარი გოგონას ლორი ლი ლანსის სახლისთვის ცეცხლის წაკიდების საშუალებით მკვლელობისთვის 1993 წელს იქნა გასამართლებული, მაგრამ მიმდინარე წლის მაისში, მას შემდეგ იქნა პატიმრობიდან განთავისუფლებული, როდესაც გაირკვა, რომ მისი სასამართლო პროცესი შეცდომებით ჩატარდა და მამაკაცი უდანაშაულო აღმოჩნდა.

ლანსის დაღუპვის დღეს წყვილის ბინაში ხანძარი გაჩნდა. გარეტს გაეღვიძა, ცეცხლი დაინახა და შეყვარებული გააღვიძა. ის შეეცადა გოგონა სახლის წინა კარიდან გაეყვანა, მაგრამ ის პანიკამ მოიცვა და ულანა კარისკენ გაიქცა. საბოლოოდ გოგონამ გარეთ გასვლა ვერ მოასწრო და დაიღუპა.

30 ოქტომბერს, ციხიდან გამოსვლიდან ხუთი თვის შემდეგ, გარეტი გარდაიცვალა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცი ძილში გარდაიცვალა. ჟურნალისტ ლილიანა სეგურის თქმით, საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ გარეტი ქალიშვილთან და შვილიშვილთან ურთიერთობით ხარობდა.

– სიტყვები არ მყოფნის, ეს გულისშემძვრელი უსამართლობაა, კლოდმა 30 წელი გაატარა ციხეში დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, ის ისე თავგამოდებით იბრძოდა, – განაცხადა სეგურმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# გამარჯვების იარაღი უკრაინისათვის



აშშ-ში კონგრესის შუალედური არჩევნები ახლოვდება. თანახმად ყველა სოციოლოგიური გამოკითხვებისა, რესპუბლიკელების გავლენა გაიზრდება. ადვილი შესაძლებელია, რომ როგორც კონგრესი, ისე სენატი რესპუბლიკელთა გავლენის ქვეშ მოექცეს.

რესპუბლიკელთა შორის უკვე გამოიკვეთა მემარჯვენე ფრთა (ე.წ. ტრამპისტები), რომლებიც აცხადებენ:

– არც ერთი კაპიკი უკრაინას!

მოსკოვში ამ სიტყვებს მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდნენ. სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ ამან რეალობა გადაფარა. ე.წ. ტრამპისტები რესპუბლიკელთა შორის უმცირესობას წარმოადგენენ. ისინი ვერავითარ შემთხვევაში უკრაინისადმი დახმარების დაბლოკვას ვერ შეძლებენ, მით უმეტეს, რომ რესპუბლიკური პარტიის უმრავლესობა მათ მხარს არ უჭერს. ტრამპისტებს შეუძლიათ ხმაურიანი მიტინგები მოაწყონ, გამართონ კონგრესში ისტერიკები, მაგრამ მოვლენებზე გავლენის მოხდენას ვერ შეძლებენ.

უკანასკნელი მოვლენები ამ სიტყვების უდავო დადასტურებაა. აშშ-მ უკრაინას გამოუყო დახმარების ახალი პაკეტი. ის 400 მილიონი დოლარის ღირებულებისაა. მასში შედის ახალი ამერიკული რაკეტები HAWK-ი. ამერიკელები მათ სხვანაირად „სკაპსაც“ უწოდებენ. აღნიშნული იარაღის გადაცემაზე აშშ კარგა ხანს თავს იკავებდა. მას შეუძლია მოწინააღმდეგეს 1000 კმ-ზე მისწვდეს. ესაა იარაღი, რომლის მიწოდებასაც ამდენი ხნის განმავლობაში ამაოდ ითხოვდნენ უკრაინული არმიის სარდალი, გენერალი ზალუჟნი და სადესანტო ჯარების ყოფილო ხელმძღვანელი, გენერალი ზაბროდსკი. ამ რაკეტების მეშვეობით უკრაინას შეუძლია მისწვდეს ისეთ ქალაქებსაც კი, როგორიცაა ვოლგოგრადი, დონის როსტოვი, ბრიანსკი და, შესაძლოა, მოსკოვსაც კი.

– რუსეთი უკრაინის ტერიტორიას მასობრივად ბომბავს! ახლა შეგვეძლება მტერს გავცეთ საკადრისი პასუხი! – აცხადებს უკრაინელი სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი ოლეგ ჟდანოვი.

უკრაინული ტელე-კომპანია მე-5 არხის ცნობით, უკრაინას გააჩნდა სამამულო წარმოების რაკეტები, რათა რუსეთის ტერიტორია დაბომბოს. პრეზიდენტი ზელენსკი ამისაგან რატომღაც თავს იკავებდა. ამერიკელების მიერ ახალი რაკეტების მიწოდების შემდეგ თავშეკავება ველარ მოხერხდება, თუმცა ახალი რაკეტების უკრაინამდე ჩასატანად აუცილებელია დრო.

დღეისათვის კი გააფთრებული ბრძოლები არ წყდება. განსაკუთრებით ეს დონბასს შეეხება. ინტენსიურია შეტევები ბახმუტზე, ავდეევკაზე, სოლედარზე, უგლედარზე (დაახლოებით 89 შეტევა დღეში). უკრაინელი მეომრები პოზიციებს ინარჩუნებენ.

# ბაიდენი, ტრამპი და ობამა პენსილვანიაში ჩავიდნენ



აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი პენსილვანიის შტატში ჩავიდა. აქ მას შეუერთდებიან ექსპრეზიდენტები ობამა და ტრამპი.

– სამივე პრეზიდენტმა, კონგრესის შუალედური არჩევნების წინ, ამერიკელ ხალხს უნდა მიმართოს, – იტყობინება რადიოსადგური „ამერიკის ხმა“.

# გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ უცნაური სტატია გამოქვეყნდა




გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ ფრიად უცნაური სტატია გამოქვეყნდა. მისი ავტორები ამტკიცებენ, რომ ოფიციალურმა კიევმა მოსკოვთან მოლაპარაკებისათვის მზადყოფნა უნდა აჩვენოს.

– ეს ინფორმაცია ბაიდენის ადმინისტრაციის მაღალჩინოსანმა გვითხრა. მის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებთ, – ნათქვამია სტატიაში.

ამავე დროს, როგორც პრეზიდენტი ბაიდენი, ისე სახელმწიფო მდივანი ბლინკენი აცხადებენ, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები, პრინციპში, ცუდი არაა, მაგრამ ამ ეტაპზე ნაადრევია.

– ვლადიმერ პუტინს დიალოგი არ სურს, – თქვა ბაიდენმა.

უკრაინელი ექსპერტის ფისენკოს აზრით, სტატია რუსეთის სპეცსამსახურების შეკვეთითაა დაწერილი. ის ე.წ. აქტიური ღონისძიებების ნაწილია.

# დონბასი ცუდ მდგომარეობაშია



უკრაინის ფრონტზე ყველაზე ცუდი მდგომარეობა დონბასშია. თანახმად აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობისა, რუსები დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნებას და ახლის დაკავებას ცდილობენ. შეტევები არ წყდება ავდეევკის, სოლედარის, უგლედარის მიმართულებით. განსაკუთრებით მწვავდე სიტუაციაა ბახმუტთან. აქ რუსმა ოკუპანტებმა 80-მდე შეტევა განახორციელეს. უკრაინელებმა ყველა მათგანი მოიგერიეს. მეტიც, ბახმუტთან პატარა კონტრშეტევის განხორციელებაც მოხერხდა. შედეგად უკრაინელებმა წინ წაიწიეს კიდევ 10 კმ-ით. რაც შეეხება უკრაინის სამხრეთს, ამ რეგიონში მდგომარეობა არ შეცვლილა. რუსებმა ხერსონთან გადასხეს დამატებითი ძალები. დღეისათვის რუსი ოკუპანტების რაოდენობა 40.000-ია. მიუხედავად ამისა, უკრაინელებს მაინც გააჩნიათ რიცხობრივი უპირატესობა. მათ ხერსონთან 60.000 მეომარს მოუყარეს თავი. რუსებმა ხერსონის მარჯვენა ნაპირზე ახალი სიმაგრეები ააგეს. მიმდინარეობს ქალაქის ინტენსიური ძარცვა. გაიტანეს ყველაფერი, ოქროულობა, ტელევიზორები, კომპიუტერები... თვით ეკლესიებიც კი გაძარცვეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# მამაკაცმა ლატარიაში ფულის მოგება ცოლ-შვილს დაუმალა



ჩინეთის გუანსი-ჩჟუანსის ავტონომიურ რაიონში ლატარიის გამარჯვებულმა მოგების თაობაზე ამბავი ცოლ-შვილს დაუმალა.

ჩინელმა, რომელსაც ადგილობრივ პრესაში ლიდ მოიხსენიებენ, 40 ცალი ლატარიის ბილეთი შეიძინა. მან ყოველ მათგანში იმ რიცხვების კომბინაცია ჩაწერა, რომელთაც მრავალი წლის მანძილზე ლატარიის თამაშში იყენებდა. ბილეთების შეძენა მამაკაცს 80 იუანი დაუჯდა, ხოლო ყოველ ბილეთზე მისმა მოგებამ 5,48 მილიონი იუანი შეადგინა. საერთო ჯამში, მან 220 მილიონი იუანი მოიგო.

ჩინელმა მოგების თაობაზე პარასკევს, 21 ოქტომბერს შეიტყო, მაგრამ მის მიღებას ორშაბათამდე ვერ შეძლებდა. მამაკაცმა განმარტა, რომ ცოლ-შვილს მოგების თაობაზე ინფორმაცია იმის გამო დაუმალა, რომ ისინი არ გაზარმაცებულიყვნენ და გამდიდრების გამო საკუთარი თავი სხვებზე მაღლა არ დაეყენებინათ.

შაბათ დილას მან მატარებლის ბილეთი იყიდა და ქალაქ ნანინში გაემგზავრა. იქ ის სასტუმროში გაჩერდა და ბილეთების დაკარგვის შიშით, ორი დღე თავისი ნომრიდან არ გამოსულა.

იმისთვის, რომ საკუთარი ვინაობა დაემალა, მამაკაცი ლატარიის შტაბ-ბინაში მულტფილმის გმირის კოსტიუმში გამოწყობილი მივიდა. პრიზის მიღების შემდეგ, ჩინელმა 5 მილიონი იუანი ქველმოქმედებას შესწირა. გადასახადების დაფარვის შემდეგ საბოლოოდ მან 171 მილიონი იუანი მიიღო.

მამაკაცს ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ როგორ გამოიყენებს მოგებულ თანხას. ექსპერტებმა ის გააფრთხილეს, რომ ცოლ-შვილისგან მოგების დამალვით ის ქვეყნის ქორწინების კანონს დაარღვევს.

# საფრანგეთის მკვიდრმა ლატარიაში 160 მილიონი ევრო მოიგო

საფრანგეთის მკვიდრმა საერთო ევროპული ლატარიის ევრომილიონის გათამაშებაში 160 მილიონი ევრო მოიგო.

აღსანიშნავია, რომ ეს თანხა საფრანგეთში ლატარიის გათამაშების არსებობის ისტორიაში რიგით მეშვიდე ყველაზე მსხვილი მოგებაა. მანამდე ყველაზე მსხვილი მოგება, 220 მილიონი ევრო, საფრანგეთის პოლინეზიის მკვიდრს ერგო.

გათამაშების გამარჯვებულის ვინაობა არ სახელდება. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ გამარჯვებულმა მომგებიანი ბილეთი ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში, პა-დე-კალეს დეპარტამენტში შეიძინა. გათამაშების გამარჯვებულების უმრავლესობა მსხვილი მოგების თაობაზე საკუთარ შვილებსაც კი არ ეუბნება, ვინაიდან, მათი აზრით, ამ შემთხვევაში ინფორმაცია გაჟონავდა და მას შესაძლოა ბოროტმოქმედებამდე მიეღწია, რასაც გამოსასყიდის მისაღებად მათი შვილების გატაცება მოჰყოლოდა.

ამ დროისთვის არც ისაა ცნობილი, გამარჯვებულმა უკვე მოითხოვა თუ არა მოგებული თანხის მიღება. ამისთვის მას 60 დღე აქვს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# საქართველომ ურუგვაის ლაღად სძლია

**საქართველო-ურუგვაი 34:18**



ნოემბრის ტესტ-მატჩების პირველ მატჩში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა „დინამო არენაზე“ ურუგვაის უმასპინძლა და ლამაზ სტილში 34:18 დაამარცხა.

ეს იყო ამ გუნდების მე-7 დაპირისპირება და საქართველომ ზედიზედ მეხუთედ მოახერხა მოგება. არადა, სამხრეთ ამერიკელებს ბოლო დროს დიდი პროგრესი აქვს და საფრანგეთის მსოფლიო თასის საგზური ამერიკა 1-ის სახელით მოიპოვა.

მატჩი ბექა გორგაძისთვის ბენეფისად იქცა. ფლანკერად მოთამაშე 26 წლის მორაგბემ მეტოქეს პირველ ტაიმში სამი ლელო გაუტანა. ურუგვაისთან ჯახი ასევე განსაკუთრებული იყო 29 წლის მერაბ შარიქაძისთვის, რომელმაც ბორჯღალოსნებს მე-40 უკაპიტნა და ამ მაჩვენებლით საქართველოს ნაკრებში საუკეთესო შედეგი აქვს.

შეხვედრა გამორჩეული იყო სამი დებიუტანტისთვის – ვახტანგ აბდალაძემ, თენგიზ პერანიძემ და ლუკა მატკავამ ეროვნული გუნდის კვართით პირველად ითამაშეს.

შესანიშნავი გარემო შექმნეს რაგბის ქომაგებმა, რომლებმაც მეტრო „მარჯანიშვილიდან“ „დინამო არენამდე“ მსვლელობა მოაწყვეს და მუხტი ჯერ კიდევ თამაშამდე ასწიეს, უშუალოდ სტადიონზე კი 20.000-მდე გულშემატკივარი აიყოლიეს.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ურუგვაელებმა აღნიშნეს, რომ ისინი საქართველოსგან ტრადიციულ, ახლო ორთაბრძოლებს ელოდნენ, მაგრამ „ბორჯღალოსანთა“ სამწვრთნელო შტაბმა, მეტოქეს განსხვავებული, გაშლილი თამაში შესთავაზა და რამდენიმე კარგი მომენტიც შეუქმნა. ამასთან, საქართველო მაქსიმალური ყურადღებით თამაშობდა დაცვაში, მეტოქეს ბურთს უნელებდა და მთავარი კოზირის – „არეულ თამაშში“ სწრაფი შეტევების განხორციელების შესაძლებლობა არ მისცა.

იყო შეცდომებიც და ხშირი ჯარიმები, რის გამოც მთლიანობაში თამაშის ტემპი მაღალი არ იყო, მაგრამ „ბორჯღალოსნებს“ პირველი მატჩის ჩატარება მუდამ უჭირთ. ამ გადასახედით, ურუგვაისთან თამაში კარგი იყო.

დაიწყო თუ არა შეხვედრა, პირველი ბურთის აღებისას შეცდომა დავუშვით და ფელიპე ბერჩესმა ჯარიმით ანგარიში გახსნა. საქართველომ მალევე შეძლო კონტროლის დამყარება და 20 წუთის განმავლობაში მეტოქეს არაერთი პრობლემა შეუქმნა. თედო აბჟანდაძემ მე-8 წუთზე ჯარიმით წონასწორობა აღადგინა; ორიოდე წუთში დავით ნინიაშვილმა შეუტია და ცენტრალურ ხაზთან თედო აბჟანდაძეს ოფლოუდი გაუხერხა, ვინაც ოვალი მარჯვენა ფრთაზე აკა ტაბუცაძეს გააყოლა, მანაც ბურთი ფეხით გადაკიდა, რომელიც ვასილ ლობჟანიძემ მოიხელთა, შეტევა მარცხენა ფრთაზე გადმოიტანა და რაქიდან ბექა გორგაძემ ბურთი ლელოში გადადო. თედო აბჟანდაძემ რთული პოზიციიდან გარდასახა.

ტაიმის შუაში ნინიაშვილმა ბურთი პირველი შეხებით ვერ დაიმორჩილა, მაგრამ მერე საოცრება მოიფიქრა – მოკლე მონაკვეთში სამი მცველი გააბითურა, შეტევა სანდრო თოდუას გააგრძელებინა, რასაც ურუგვაის ჯარიმა და ფელიპე ეჩევერის სინბინი მოჰყვა. ჯარიმა თედომ აუტში გადაიტანა, დერეფნიდან მოლი და გორგაძის მეორე ლელო მოჰყვა. აბჟანდაძემ იმავე პოზიციიდან მეორეც გარდასახა.

ამის შემდეგ ჩვენი გუნდი ცოტა აირია და ურუგვაიმ ბურთის ჩვენ ნახევარზე გადატანა გარკვეული დროით მოახერხა. ნახევარი საათის თავზე მათი მოლი გილერმო პუხადას ლელოთი დასრულდა, ბერჩესმა კი, გარდასახვას მალევე ჯარიმაც მიაყოლა და სხვაობა ოთხ ქულამდე დაიყვანა. ტაიმის ბოლოს მათ კიდევ ერთხელ სცადეს შედეგიანი შეტევის წამოწყება, მაგრამ ჩვენ 22-თან ბურთი დაკარგეს და სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ მესამე ლელო მიიღეს. კონტრშეტევა ნინიაშვილი-ტაბუცაძის დუეტმა წამოიწყო, მარცხენა ფრთაზე 2-კაციანი მეტობა გვქონდა, თითქოს ვერ გამოვიყენეთ, ტემპი დავკარგეთ, მაგრამ, საბოლოოდ, გორგაძემ მესამე ლელო დაასრულა, ხოლო აბჟანდაძემ ტაიმის შედეგი დააფიქსირა – 24:13.

მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქის დერეფანი მოვიგეთ და შალვა მამუკაშვილმა შეუტია, გორგაძემ ოფლოუდით გარღვევაზე აბჟანდაძე გაიყვანა, რომელიც 5-მეტრიანთან შებოჭეს, საქმეში გურამ პაპიძე ჩაერთო და ორი მბოჭავის თავგანწირული მცდელობის მიუხედავად ლელო გაიტანა. აბჟანდაძე გარდასახვიდან კვლავ ზუსტი იყო.

ამის შემდეგ ინიციატივა ისევ მეტოქის მხარეს გადავიდა, რასაც აბჟანდაძის სინბინი მოჰყვა, მაგრამ მეტოქემ მეტობა ვერ გამოიყენა. თუმცა, მეორე ლელო თანაფარდობაში დაგვიდეს, რასაც აბჟანდაძემ ჯარიმით უპასუხა.

დარჩენილ დროში მაყურებელმა ქართველთა რამდენიმე ლამაზი, ოფლოუდებით შეტევა იხილა, თუმცა ანგარიში აღარ შეცვლილა საქართველომ ნოემბრის სერია გამარჯვებით გახსნა – 34:18.

**ლევან მაისაშვილი:**

– მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა შეცდომები და ბევრი ჯარიმა ავიღეთ, თამაშით კმაყოფილი ვარ. მოთამაშეები ჩქარობდნენ და შეცდომებიც ამის შედეგი იყო. ჩვენთვის ეს კარგი გაკვეთილი იყო. დარწმუნებული ვარ მომდევნო შეხვედრაში ამდენი შეცდომა და ჯარიმა აღარ იქნება. თამაშის არც ერთ ეტაპზე სადავეები ხელიდან არ გაგვქცევია. იყო სამწუხარო მომენტები, როდესაც არასისტემურად ვითამაშეთ, მაგრამ მალევე დავბრუნდით. ახალგაზრდული გუნდი ვართ და ტექნიკური წუნი თუ შეცდომები ამის შედეგია, რომელიც აუცილებლად გამოსწორდება. კარგია, რომ გავიმარჯვეთ და თამაშიდან თამაშამდე განვვითარდებით. მადლობა ბიჭებს, სამწვრთნელო შტაბს და, რა თქმა უნდა, გულშემატკივარს.

ეს კვირა მხოლოდ სამოაზე ვიფიქრებთ და მხოლოდ ამის შემდეგ გადავერთვებით უელსზე. კუნძულელებს ახასიათებთ თამაშების ჩაგდება და სამოას იტალიასთან მარცხმა არ უნდა მოგვატყუოს. ამ გადასახედიდან საგანგაშო ტრავმა არავის აქვს და ვიმედოვნებ, მომდევნო შეხვედრას ყველა მორაგბე მზადყოფნაში შეხვდება.

**მერაბ შარიქაძე:**

– სავსე სტადიონი უკეთესი იქნებოდა, მაგრამ თითოულ გულშემატკივარს, ვინც ტრიბუნაზე იყო, დიდ მადლობას ვუხდი. ვისურვებ, რომ სამოასთან მატჩში ტრიბუნები ბოლომდე იყოს სავსე.

რაც შეეხება მატჩს: ბევრი ბურთი დავკარგეთ, მაგრამ მთლიანობაში ლაღი თამაში ვაჩვენეთ და არაერთი დასამახსოვრებელი მომენტი შევქმენით. სამწუხაროდ, ყველა მათგანი ქულებში არ აისახა. მთლიანობაში ეს იყო თამაში, საიდანაც ბევრი რამ მივიღეთ და დარწმუნებული ვარ, სამოასთან შეხვედრამდე ინდივიდუალური შეცდომები გამოსწორდება. ამაზე მთელი კვირის განმავლობაში ბევრს ვიმუშავებთ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**


## განცხადებები

- 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.
- მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# კაპიტანი და ვიცე-კაპიტანი ნაკრებში ჩასვლამდე ყოჩაღობენ



ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თორნიკე შენგელია მოედანს დაუბრუნდა. გასულ აგვისტოში, მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩში, ნიდერლანდებთან საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ტრავმა მიიღო და ეს ევრობასკეტის გაცდენად დაუჯდა.

თორნიკე ოპერაციას გადაურჩა და იტალიელი ექიმების დახმარებით მხრის რეაბილიტაცია თერაპიული მეთოდებით შეძლო. შენგელია მოედანს ევროლიგის მატჩში დაუბრუნდა, რომელშიც მისმა ბოლონიამ ფრანგულ ვილერბანს უმასპინძლა და 79:84 დამარცხდა.

თორნიკესთვის ვილერბანთან გამართული მატჩი საიუბილეო იყო. შენგელიამ ევროლიგაში მე-200 შეხვედრა ჩაატარა. ვირტუსის მწვრთნელმა სკარიოლომ მატჩამდეც თქვა, რომ შენგელიას ბევრ დროს არ მისცემდა. თორნიკე 17 წუთით დაიტვირთა, რა დროშიც 7 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი დააგროვა.

ვირტუსმა პირველი ტაიმი 14 ქულით მოიგო (50:36) და ბევრს აფიქრებინა, რომ შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო, თუმცა, ლიონმა მესამე პერიოდში 13 ქულა აღმოფხვრა და მატჩში სიტუაცია ისევ დაიძაბა. ფრანგულმა კლუბმა ბოლო მეოთხედიც აღმავლობით ჩაატარა და მატჩი 84:79 გაიმარჯვა.

6 მატჩიდან 2 მოგებით ვირტუსი 18-გუნდიან ევროლიგაში მე-15 ადგილზეა. შემდეგ შეხვედრას ბოლონიელები 9 ნოემბერს, მილანთან გამართავენ.

მანამდე შენგელიას გუნდმა იტალიის სერია ა-ში რეჯინასთან ითამაშა და ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა – 79:65.

ვირტუსმა რეჯინასთან პირველი ტაიმი 2 ქულით დათმო. სერჯიო სკარიოლოს შეგირდებმა მესამე მეოთხედში მაგრად ითამაშეს და თამაშში გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს და მატჩიც მოიგეს.

შენგელიამ მოედანზე ამჯერად 12 წუთი დაჰყო და გუნდს 5 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი შესძინა.

ვირტუსი იტალიის ჩემპიონატის რეგულარულ სეზონს 6 მოგებით ლიდერობს.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ხვალ კიდევ ერთ მატჩს ითამაშებს ევროლიგაში – ბოლონია მილანს დაუხვდება, შემდეგ კი, ილიას ზუროსის განკარგულებაში იქნება.

საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი გიორგი შერმადინი კი ჩვეულ, ზემძლავრ ფორმაშია. ზედიზედ მეორედ ქართველი ცენტრი ტენერიფეს მოგებული შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში ტენერიფელებმა ბილბაოს უმასპინძლეს და შერმადინის წინამძღოლობით იოლად – 73:57 დაამარცხეს.

შერმადინმა ყველაზე მეტი (20) ქულა ჩააგდო და სარგებლიანობის ინდექსიც უმეტესი ჰქონდა და დამსახურებულად გადაეცა მვპ-ის ტიტული.

გიორგიმ 12-დან 7 ორქულიანი და 7-დან 6 საჯარიმო ჩააგდო, მარგი ქმედების კოეფიციენტი კი 26 დაუგროვდა.

ტენერიფე ესპანეთის ჩემპიონატში 6 მოგებით და 1 წაგებით ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერია, მომდევნო შეხვედრას კი 19 ნოემბერს შინ, ვალენსიასთან გამართავს. მატჩის დასრულების შემდეგ შერმადინი ისლანდიისკენ დაიძრა, სადაც საქართველოს ნაკრებს დღეს დილით შეუერთდებოდა.

# წილისყრამ დანდობა არ იცის – გრანდები ერთმანეთის პირისპირ

შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართა. უეფას შტაბბინაში ბევრი საინტერესო წყვილი შედგა – შესაძლოა ითქვას, ფინალსაც რომ დაამშვენებდა.

წლევანდელ მერვედფინალში ითამაშებენ გასული სეზონის ფინალისტები – ლივერპული და მადრიდის რეალი. ასევე ძალიან მაგარი დუელი უნდა გამოდგეს პარი სენ ჟერმენისა და მიუნხენის ბაიერნის დაპირისპირება.

ხვიჩა კვარაცხელიას ნაპოლის მეტნაკლებად გაუმართლა და მეტოქედ გერმანული აინტრახტი ერგო.

სხვა წყვილები ასე გამოიყურება: ლაიფციგი-მანჩესტერ სიტი; ბრიუგე-ბენფიკა; მილანი-ტოტენჰემი; დორტმუნდი-ჩელსი; ინტერი-პორტუ.

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველი მატჩები 14-15 და 21-22 თებერვალს, ხოლო საპასუხო შეხვედრები 7-8 და 14-15 მარტს გაიმართება. ფინალი 10 ივნისს, სტამბოლში, „ათათურქის“ სტადიონზეა ჩანიშნული.

ნიონშივე შედგა ევროპის ლიგის მეთექვსმეტედფინალური ეტაპის წილისყრაც. თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ ეტაპზე 32 გუნდის ნაცვლად 16 ითამაშებს, რადგან ჯგუფებში გამარჯვებული რვა პირველადგილოსანი პირდაპირ მერვედფინალში ითამაშებს.

16 გუნდიდან რვა ევროპალიგის ჯგუფური ეტაპის მეორეადგილოსანია, რვა კი, ჩემპიონთა ლიგიდან შეუერთდა.

შედეგად, რამდენიმე საინტერესო წყვილმა მოიყარა თავი, მაგრამ მათგან ბარსელონასა და მანჩესტერ იუნაიტედის ჯახი იქნება გამოსარჩევი.

**ევროპა ლიგის ფლეი ოფში გუნდები ასე დაწყვილდნენ:**

ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი; იუვენტუსი-ნანტი; სპორტინგი-მიდტიულანდი; შახტარი-რენი; აიაქსი-უნიონი; ლევერკუზენი-მონაკო; სევილია-პსვ; ზალცბურგი-რომა;

ამ წყვილებში გამარჯვებულები ფლეი ოფის მეორე სტადიაზე არსენალს, ფენერბაჰჩეს, ბეტისს, სენ-ჟილუას, სოსიედადს, ფეიენოორდს, ფრაიბურგსა და ფერენცვაროშს შეუერთდებიან.

ფინალი 31 მაისს, ბუდაპეშტში გაიმართება.

# შედეგები

## 6 ნოემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-არსენალი ............ 0:1
ასტონ ვილა-მანჩესტერი ............ 3:1
ვესტ ჰემი-კრ.პალასი ............ 1:2
საუთჰემპტონი-ნიუკასლი ............ 1:4
ტოტენჰემი-ლივერპული ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 13 | 11 | 1 | 1 | 31-11 | 34 |
| 2.სიტი | 13 | 10 | 2 | 1 | 39-12 | 32 |
| 3.ნიუკასლი | 14 | 7 | 6 | 1 | 28-11 | 27 |
| 4.ტოტენჰემი | 14 | 8 | 2 | 4 | 27-18 | 26 |
| 5.მანჩესტერი | 13 | 7 | 2 | 4 | 18-19 | 23 |
| 6.ბრაიტონი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-17 | 21 |
| 7.ჩელსი | 13 | 6 | 3 | 4 | 17-16 | 21 |
| 8.ლივერპული | 13 | 5 | 4 | 4 | 25-16 | 19 |
| 9.ფულემი | 14 | 5 | 4 | 5 | 23-24 | 19 |
| 10.კრ.პალასი | 13 | 5 | 4 | 4 | 15-17 | 19 |
| 11.ბრენტფორდი | 14 | 3 | 7 | 4 | 21-24 | 16 |
| 12.ლიდსი | 13 | 4 | 3 | 6 | 19-22 | 15 |
| 13.ასტონ ვილა | 14 | 4 | 3 | 7 | 14-21 | 15 |
| 14.ლესტერი | 14 | 4 | 2 | 8 | 23-25 | 14 |
| 15.ვესტ ჰემი | 14 | 4 | 2 | 8 | 12-15 | 14 |
| 16.ევერტონი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-14 | 14 |
| 17.ბორნმუთი | 14 | 3 | 4 | 7 | 15-32 | 13 |
| 18.საუთჰემპტონი | 14 | 3 | 3 | 8 | 12-24 | 12 |
| 19.ვულვზი | 14 | 2 | 4 | 8 | 8-22 | 10 |
| 20.ნოტინგემი | 14 | 2 | 4 | 8 | 10-30 | 10 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-უნიონი ............ 5:0
ფრაიბურგი-კიოლნი ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 8 | 4 | 1 | 41-12 | 28 |
| 2.ფრაიბურგი | 13 | 8 | 3 | 2 | 20-13 | 27 |
| 3.უნიონი | 13 | 8 | 2 | 3 | 21-14 | 26 |
| 4.დორტმუნდი | 13 | 8 | 1 | 4 | 23-15 | 25 |
| 5.აინტრახტი | 13 | 7 | 2 | 4 | 27-21 | 23 |
| 6.ლაიფციგი | 13 | 6 | 4 | 3 | 25-19 | 22 |
| 7.ვერდერი | 13 | 6 | 3 | 4 | 23-19 | 21 |
| 8.გლადბახი | 13 | 5 | 4 | 4 | 23-20 | 19 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-16 | 18 |
| 10.მაინცი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-22 | 18 |
| 11.ვოლფსბურგი | 13 | 4 | 5 | 4 | 20-19 | 17 |
| 12.კიოლნი | 13 | 4 | 5 | 4 | 20-25 | 17 |
| 13.აუგსბურგი | 13 | 4 | 2 | 7 | 16-23 | 14 |
| 14.ლევერკუზენი | 13 | 3 | 3 | 7 | 21-25 | 12 |
| 15.ჰერტა | 13 | 2 | 5 | 6 | 16-20 | 11 |
| 16.შტუტგარტი | 13 | 2 | 5 | 6 | 16-24 | 11 |
| 17.ბოხუმი | 13 | 2 | 1 | 10 | 11-35 | 7 |
| 18.შალკე | 13 | 1 | 3 | 9 | 12-30 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ფიურტი ............ 0:1
ჰამბურგი-რეგენსბურგი ............ 3:1
ნიურნბერგი-მაგდებურგი ............ 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-ესპანიოლი ............ 1:1
სოსიედადი-ვალენსია ............ 1:1
ვილიარეალი-მალიორკა ............ 0:2
ბეტისი-სევილია ............ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 11 | 1 | 1 | 31-4 | 34 |
| 2.რეალი | 12 | 10 | 2 | 0 | 29-10 | 32 |
| 3.ატლეტიკო | 13 | 7 | 3 | 3 | 21-13 | 24 |
| 4.ბეტისი | 13 | 7 | 3 | 3 | 17-9 | 24 |
| 5.ოსასუნა | 13 | 7 | 2 | 4 | 15-12 | 23 |
| 6.სოსიედადი | 13 | 7 | 2 | 4 | 16-15 | 23 |
| 7.ბილბაო | 13 | 6 | 3 | 4 | 21-14 | 21 |
| 8.ვილიარეალი | 13 | 5 | 3 | 5 | 14-10 | 18 |
| 9.რაიო | 12 | 5 | 3 | 4 | 17-14 | 18 |
| 10.ვალიადოლიდი | 13 | 5 | 2 | 6 | 13-18 | 17 |
| 11.ვალენსია | 13 | 4 | 4 | 5 | 19-15 | 16 |
| 12.მალიორკა | 13 | 4 | 4 | 5 | 12-13 | 16 |
| 13.ხეტაფე | 13 | 3 | 5 | 5 | 12-19 | 14 |
| 14.ალმერია | 13 | 4 | 1 | 8 | 15-22 | 13 |
| 15.ხირონა | 13 | 3 | 4 | 6 | 18-21 | 13 |
| 16.ესპანიოლი | 13 | 2 | 6 | 5 | 16-21 | 12 |
| 17.სევილია | 13 | 2 | 5 | 6 | 12-20 | 11 |
| 18.სელტა | 13 | 3 | 2 | 8 | 14-26 | 11 |
| 19.კადისი | 13 | 2 | 5 | 6 | 8-24 | 11 |
| 20.ელჩე | 13 | 0 | 4 | 9 | 9-29 | 4 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

იბიცა-მირანდესი ............ 1:1
ოვიედო-გრანადა ............ 1:0
ლას პალმასი-ეიბარი ............ 1:1
მალაგა-ხიხონი ............ 1:1
ალბასეტე-ლევანტე ............ 2:3

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ტორინო ............ 2:1
მონცა-ვერონა ............ 2:0
სამპდორია-ფიორენტინა ............ 0:2
რომა-ლაციო ............ 0:1
იუვენტუსი-ინტერი ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 13 | 11 | 2 | 0 | 32-10 | 35 |
| 2.მილანი | 13 | 9 | 2 | 2 | 27-14 | 29 |
| 3.ლაციო | 13 | 8 | 3 | 2 | 25-8 | 27 |
| 4.ატალანტა | 13 | 8 | 3 | 2 | 19-10 | 27 |
| 5.იუვენტუსი | 13 | 7 | 4 | 2 | 20-7 | 25 |
| 6.რომა | 13 | 8 | 1 | 4 | 16-12 | 25 |
| 7.ინტერი | 13 | 8 | 0 | 5 | 25-19 | 24 |
| 8.უდინეზე | 13 | 6 | 5 | 2 | 21-13 | 23 |
| 9.სალერნიტანა | 13 | 4 | 5 | 4 | 18-19 | 17 |
| 10.ტორინო | 13 | 5 | 2 | 6 | 13-16 | 17 |
| 11.ფიორენტინა | 13 | 4 | 4 | 5 | 15-17 | 16 |
| 12.ბოლონია | 13 | 4 | 4 | 5 | 16-19 | 16 |
| 13.სასუოლო | 13 | 4 | 3 | 6 | 14-18 | 15 |
| 14.ემპოლი | 13 | 3 | 5 | 5 | 10-17 | 14 |
| 15.მონცა | 13 | 4 | 1 | 8 | 13-21 | 13 |
| 16.ლეჩე | 13 | 1 | 6 | 6 | 10-16 | 9 |
| 17.სპეცია | 13 | 2 | 3 | 8 | 11-24 | 9 |
| 18.სამპდორია | 13 | 1 | 3 | 9 | 6-23 | 6 |
| 19.კრემონეზე | 13 | 0 | 6 | 7 | 11-24 | 6 |
| 20.ვერონა | 13 | 1 | 2 | 10 | 11-26 | 5 |

**იტალია. სერია ბ**

კომო-ვენეცია ............ 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

ლორიანი-პსჟ ............ 1:2
კლერმონი-მონპელიე ............ 1:1
ნიცა-ბრესტი ............ 1:0
რეიმსი-ნანტი ............ 1:0
ტულუზა-მონაკო ............ 0:2
ლილი-რენი ............ 1:1
მარსელი-ლიონი ............ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 12 | 2 | 0 | 38-9 | 38 |
| 2.ლანსი | 14 | 10 | 3 | 1 | 24-9 | 33 |
| 3.რენი | 14 | 8 | 4 | 2 | 29-13 | 28 |
| 4.მარსელი | 14 | 8 | 3 | 3 | 23-11 | 27 |
| 5.მონაკო | 14 | 8 | 3 | 3 | 27-18 | 27 |
| 6.ლორიანი | 14 | 8 | 3 | 3 | 25-20 | 27 |
| 7.ლილი | 14 | 7 | 2 | 5 | 26-23 | 23 |
| 8.ლიონი | 14 | 6 | 2 | 6 | 21-17 | 20 |
| 9.ნიცა | 14 | 5 | 4 | 5 | 14-16 | 19 |
| 10.კლერმონი | 14 | 5 | 4 | 5 | 18-21 | 19 |
| 11.რეიმსი | 14 | 3 | 7 | 4 | 15-20 | 16 |
| 12.ტულუზა | 14 | 4 | 4 | 6 | 19-25 | 16 |
| 13.ტრუა | 14 | 3 | 5 | 6 | 25-29 | 14 |
| 14.ოსერი | 14 | 3 | 4 | 7 | 14-26 | 13 |
| 15.მონპელიე | 14 | 4 | 1 | 9 | 23-28 | 13 |
| 16.ნანტი | 14 | 2 | 6 | 6 | 15-22 | 12 |
| 17.აიაჩო | 14 | 5 | 2 | 9 | 11-22 | 11 |
| 18.სტრასბური | 14 | 1 | 7 | 6 | 17-26 | 10 |
| 19.ბრესტი | 14 | 2 | 4 | 8 | 14-27 | 10 |
| 20.ანჟე | 14 | 2 | 2 | 10 | 15-33 | 8 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

უტრეხტი-გრონინგენი ............ 2:1
ვოლენდამი-ფეიენოორდი ............ 0:2
ტვენტე-იგლზი ............ 1:1
აიაქსი-პსვ ............ 1:2
ვალვაიკი-ალკმაარი ............ 3:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

რიუ ავე-ბოავიშტა ............ 1:0
მარიტიმუ-ფამილიკაო ............ 0:0
ბრაგა-კასა პია ............ 0:1
ეშტორილი-ბენფიკა ............ 1:5

**ბელგია. ა დივიზიონი**

გენტი-ბრიუგე ............ 2:0
სენ ჟილუა-ვესტერლო ............ 1:1
ანტვერპენი-ანდერლეხტი ............ 0:0
ოსტენდე-კორტრაიკი ............ 3:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ტიროლი-აუსტრია ............ 0:0
ალტახი-შტურმი ............ 1:1

**შტურმის გოლი ოთარ კიტეიშვილმა გაიტანა**

რაპიდი-ლინცერი ............ 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

სტ.ჯონსონი-რეინჯერსი ............ 2:1
ჰართსი-მოზერველი ............ 3:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთეპი-ქაისერი ............ 1:2
ანთალია-ქარაგუმრუქი ............ 4:2
ტრაბზონი-ქონია ............ 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

პანეთოლიკოსი-ლევადიაკოსი ............ 0:0
პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი ............ 1:1
ასტერასი-აეკი ............ 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სერვეტი-იანგ ბოიზი ............ 0:0
ბაზელი-სიონი ............ 0:0
ლუგანო-ციურიხი ............ 2:0

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოლესლავი-ტეპლიცე ............ 3:0
სლოვანი-ჰრადეც კრალოვე ............ 2:0
სლოვაცკო-პარდუბიცე ............ 1:0
სლავია-ბანიკი ............ 3:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეგნიცა-სლასკი ............ 1:0
ვიძევი-რადომიაკი ............ 1:3
ლეხი-კორონა ............ 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დნიპრო-მინაი ............ 3:1
ლვოვი-კრივბასი ............ 2:1
ჩერნომორეცი-დინამო ............ 0:3

**დანია. სუპერლიგა**

ვიბორგი-ორხუსი ............ 1:1
ოლბორგი-სილკებორგი ............ 1:2
კოპენჰაგენი-ლუნგბიუ ............ 3:0
ოდენსე-ბრონდბიუ ............ 1:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ელფსბორგი ............ 0:1
ვერნამო-გიოტებორგი ............ 1:4
კალმარი-სუნდსვალი ............ 4:0
მალმიო-დეგერფორსი ............ 2:2
სირიუსი-ვაბერგი ............ 2:3
ჰეკენი-ნორჩიოპინგი ............ 3:3
ჰელსინბორგი-ჰამარბი ............ 0:2
დიურგარდენი-მიალბი ............ 0:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბოდო-ვიკინგი ............ 5:4
ერვი-რუსენბორგი ............ 2:4
მიოლდე-სანდერფიორდი ............ 2:1
ოდი-სტრომგოდსეტი ............ 5:1
ალესუნი-ლილესტრიომი ............ 2:1
სარპსბორგი-კრისტიანსუნი ............ 2:2
ჰამკამი-ტრომსო ............ 1:2
ჰაუგესუნდი-ვალერენგა ............ 1:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნაწლავებს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ძველებური ცეცხლსასროლი იარაღი; 2. კვერცხების ვარგისიანობის შესამოწმებელი ელექტროხელსაწყო; 3. კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. მსუსხავი ბალახი; 5. ღვინისა და დროსტარების დღესასწაული ძველ ათენსა და რომში; 10. მაროკოს დედაქალაქი; 11. უდაბნოში მზარდი მცენარე; 12. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 13. ფრანგი სოციოლოგი, ფილოსოფოსი ანარქიზმის თეორეტიკოსი; 16. ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში; 17. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 19. უზენაესი სასამართლო ძველ საბერძნეთში; 21. ქართველ მეთევზეთა შრომის სიმღერა; 23. გერმანიის კანცლერი.

**თარაზულად:** 6. სიცოცხლით სავსე, მეტისმეტად ხალისიანი ადამიანი; 7. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 8. შიშით გამოწვეული მღელვარება; 9. უმაღლესი წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 14. ქედი სამხრეთ საქართველოში; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 18. იმრე კალმანის ოპერეტა; 20. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 22. ყირგიზეთის დედაქალაქი; 24. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 25. სამონასტრო კომპლექსი ქარელის რაიონში; 26. ღია ცის ქვეშ დანთებული დიდი ცეცხლი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პასტიჩო; 2. ჰეინიკენი; 3. ფეთხაინი; 4. ბრავადა; 5. წიქარა; 9. სტიგმა; 11. სეინერი; 12. იაკუძა; 14. ქურხული; 18. აშარი; 19. ფოგტი.

**თარაზულად:** 4. ბორანი; 5. წერეთელი; 6. ჟესტი; 7. პალიტრა; 8. ანკესი; 10. ლხასა; 13. ჩაქურა; 15. კორიდა; 16. ნანა; 17. ცანა; 20. ხოხობი; 21. ჰაშიში; 22. კარტელი; 23. ტუბერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მავრები; 2. ბაზილიკა; 3. ამპლიტუდა; 4. სვანეთი; 5. პარლამენტი; 10. მიშელი; 11. მაყრიონი; 12. შპიგელი; 13. კამბუზი; 16. პარმიტანო; 17. ვოდევილი; 19. აშკენაზი; 21. ამური; 23. ატენი.

**თარაზულად:** 6. პალიასტომი; 7. ქვაწვია; 8. სესილი; 9. რიგოლეტო; 14. ლაშარელა; 15. ამირეჯიბი; 18. დანია; 20. ჩონგური; 22. დიადემა; 24. იმნაძე; 25. მაშავერა; 26. ვანილი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


8 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.7340 | ევრო — 2.7304 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1280 | 100 რუსული რუბლი — 4.4551 |

## ამინდის პროგნოზი 8 ნოემბრისათვის




## კვარაცხელია, სავარაუდოდ, ემპოლისთან არ ითამაშებს



ნაპოლის ქართველი ფორვარდი ხვიჩა კვარაცხელია დიდი ალბათობით ემპოლის წინააღმდეგ სამშაბათს მოედანზე არ გამოვა, თუმცა, შესაძლოა, ის სპალეტიმ განაცხადში მაინც შეიყვანოს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხვიჩას სრულად გამოსაჯანმრთელებლად დაახლოებით ერთი კვირა სჭირდება. კვარაცხელიამ ზურგის მცირე ტრავმა ლივერპულთან შეხვედრის დროს მიიღო.

## პსჟ-ბაიერნი, რეალი-ლივერპული. ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალები ცნობილია




ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა და რამდენიმე ძალიან საინტერესო წყვილიც შედგა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეალი-ლივერპული და პსჟ-ბაიერნი. ასევე საინტერესოა მილანის და ტოტენჰემის დაპირისპირება. სხვა წყვილები ასე გამოიყურება:

დორტმუნდის ბორუსია-ჩელსი რეალი-ლივერპული
ბენფიკა-ბრიუგე პსჟ-ბაიერნი
მანჩესტერ სიტი-ლაიპციგი მილანი-ტოტენჰემი
ნაპოლი-აინტრახტი ინტერი-პორტო

## პიკე: „ბარსელონაში აუცილებლად დავბრუნდები“



ბარსელონას ლეგენდამ ჟერარ პიკემ კარიერა დაასრულა და, ბუნებრივია, მან ბევრ კითხვაზე უპასუხა ჟურნალისტებს. პიკეს თქმით, ადრე თუ გვიან, ის ბარსელონაში აუცილებლად დაბრუნდება: „ბარსელონამ ყველაფერი მომცა, რაც მაქვს და ყოველთვის ამ გუნდის მადლიერი ვიქნები. არ ვიცი, ეს როდის მოხდება, მაგრამ ბარსელონაში აუცილებლად დავბრუნდები, რადგან ეს ჩემი სახლია“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ლევან თუთბერიძის ფილმის პრემიერა ლოს ანჯელესში გაიმართება



რეჟისორ ლევან თუთბერიძის ახალი ფილმის „სამურაი დასვენების ჟამს“ პრემიერა 16 ნოემბერს ლოს ანჯელესში, აზიური კინოს მსოფლიო ფესტივალზე გაიმართება.

კინოფესტივალზე ფილმი კონკურსგარეშე, ოსკარზე ნომინანტ უცხოურ ფილმებთან ერთად იქნება ნაჩვენები.

ლევან თუთბერიძემ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარზე აკა მორჩილაძესთან ერთად იმუშავა. სცენარი სპეციალურად ამ ფილმისთვის დაიწერა და მასში დღევანდელი ყოფა, ურთიერთობები, ტკივილი, სიხარული და ცრემლია გაერთიანებული. ლევან თუთბერიძის ნამუშევარში წარმოდგენილია 5 ადამიანის ერთდღიანი ურთიერთობის ისტორია და მთავარი გმირები არიან ექიმი, დიასახლისი, სტილისტი, ახალგაზრდა მორაგბე და არშემდგარი რეჟისორი. დეტექტიური ხაზის ფილმში ერთ-ერთი მოქმედი გმირი სამურაია.

რეჟისორმა ფილმი თბილისში, გარდაბანსა და რუსთავში გადაიღო. ლევან თუთბერიძის ახალ ფილმში ნინო კასრაძე, ზუკა პაპუაშვილი, ზაზა მაღალაშვილი, დავით გოცირიძე, ნატალია ყულოშვილი და თემიკო ჭიჭინაძე მონაწილეობენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

სასტუმროს მორიგის ტელეფონი რეკავს:

– ალო, სასტუმროს მორიგე გისმენთ.

– დამეხმარეთ, ჩემს ნომერში სიდედრს ვეჩხუბე და უნდა, რომ ფანჯრიდან გადახტეს!

– ეს კერძო შემთხვევაა და ჩვენ არ გვეხება!

– როგორ არ გეხებათ, ფანჯრები რატომ არ იღება?!

●●●

მოსამართლე ქალს ეკითხება:

– რატომ გსურთ მეუღლესთან განქორწინება?

– განსხვავებული რელიგიური შეხედულებები გვაქვს.

– კონკრეტულად?

– ის მე ქალღმერთად არ მაღიარებს!

●●●

მამაკაცი გზაჯვარედინთან ბავშვებს კანფეტებს ურიგებს. ერთ-ერთი ბავშვის მშობელი ეკითხება:

– კანფეტების ფაბრიკის სარეკლამო კომპანიაა?

– არა, ჩემი სტომატოლოგიური ბიზნესის გაფართოება...

●●●

ქმარი კვდება და სიკვდილის წინ ცოლს ეუბნება:

– ჩემს უკანასკნელ თხოვნას შემისრულებ?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო.

– მინდა, რომ ჩემი გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე მიტოს გაჰყვე ცოლად.

– მე კი მეგონა, რომ მას დასანახად ვერ იტანდი.

– და მერე როგორ...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## დემნას უახლესი კოლექცია გაყიდვაშია



ქართველი დიზაინერის დემნას უახლესი კოლექცია უკვე გაყიდვაშია. დემნას ბრენდმა ბალენსიაგამ ადიდასთან თანამშრომლობის შესახებ განცხადება რამდენიმე თვის წინ გაავრცელა და ერთობლივად შექმნილი კოლექცია მოდის მოყვარულებს წარუდგინა კიდეც.

ბალენსიაგასა და ადიდასის თანამშრომლობის ფარგლებში შეიქმნა სამოსი, ფეხსაცმელები, ჩანთები, სამკაულები და სხვა აქსესუარები, რომლებზეც ბალენსიაგას და ადიდასის ლოგოები სხვადასხვა სახით არის გაერთიანებული.

ორი მნიშვნელოვანი ბრენდის თანამშრომლობის შექმნილი სამოსის კოლექცია 4400 დოლარი ღირს და მოდის მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

## გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამო სამეფო უბნის თეატრში ჩატარდება




15 ნოემბერს სამეფო უბნის თეატრი ცნობილი ქორეოგრაფის გიორგი ალექსიძის საღამოს უმასპინძლებს.

ქორეოგრაფიის საღამოზე წარმოდგენილი იქნება პრემიერა: „ლირიკული სიუიტა“ – ალბან ბერგის მუსიკა – თანამედროვე ბალეტი საბალეტო მინიატურები რაველის, დენისოვის, შოსტაკოვიჩისა და გია ყანჩელის მუსიკაზე შესრულდება – „ფსალმუნი“ გია ყანჩელის „ფსალმუნი 23“ ციკლიდან „ეგზილი“ – თანამედროვე ბალეტი.

საპრემიერო წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ დასი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელია მარიამ ალექსიძე.

## მიხეილ ზაქარიაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა



მომღერალმა მიხეილ ზაქარიაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა, რომელიც ზურა ლალიაშვილმა თემურ ცაგურიას ლექსზე დაწერა:

– გულდამძიმებული დავდივარ სახლში. ახლა ვიყავი უმაგრეს მუსიკოსთან და კომპოზიტორთან, ივერიის უცვლელ წევრთან, ჩემს უფროს მეგობართან ზურა ლალიაშვილთან, რომელმაც შემომთავაზა ჩამეწერა მისი შექმნილი არაჩვეულებრივი სიმღერა, თემურ ცაგურიას ასევე არაჩვეულებრივ ლექსზე, რომელიც ჩვენს წასულ მუსიკოს მეგობრებს ეძღვნება! სიმღერა და ლექსი ძალიან მომეწონა უმაგრესი მელოდია და ლექსია, დავთანხმდი ჩემი ჟანგიანი ხმით ჩამეწერა და სულ მალე პრემიერასაც შემოგთავაზებთ! აი, ეს ლექსი და თავადვე მიხვდებით, რა ძნელი იყო ამ სიმღერის ჩაწერა ჩემთვის: „ჩამოასხით! იმისი ვთქვათ სადღეგრძელო, ვინც უფალმა მაღლა ცაში წაიყვანა. ვინც თავისი საოცარი დიდი გულით ერთმანეთის სიყვარული დაგვიბარა...“

## სამების ტაძრის ეზოში ერეკლე მეფის ბიუსტი დაიდგა



ერეკლე მეფის ბიუსტი სამების საკათედრო ტაძრის ეზოში დაიდგა.

ეკლესიის ტერიტორიაზე „ქართველ მეფეთა სკვერის“ მოწყობის პროექტი შარშან დაიწყო. დღეისათვის ტაძრის ხეივანში სამი ბიუსტი დგას: ბაგრატოვანთა მამამთავრის – ბიბლიური დავით მეფის – მეფსალმუნის, თეიმურაზ პირველისა და ერეკლე მეორის.

ერეკლე მეორეს ბიუსტი „ერეკლეობის“ დღესასწაულისათვის დასრულდა. პროექტის განხორციელებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს: „სარაჯიშვილის“ საქველმოქმედო ფონდმა, ბანკმა „ქართუმ“, პარლამენტის წევრმა დავით სონღულაშვილმა, ბიზნესმენმა გიორგი შიუკაშვილმა და ქართული გალობის განვითარების ცენტრმა.

„ერეკლეობა“ თელავში აღნიშნა. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით, თელავის ისტორიული მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა დიდი ქართველი მეფის, ერეკლე მეორესადმი მიძღვნილი გამოფენა „მეფე ერეკლე – საქართველოს უკანასკნელი ლომი“. მუზეუმშივე მოეწყო 200-გვერდიანი ორენოვანი ფერადი კატალოგ-ალბომის პრეზენტაცია, რომელიც კულტურის სამინისტროს დაფინანსებით გამოიცა.

ექსპოზიცია, რომელსაც მანამდე თბილისის ეროვნული გალერეა მასპინძლობდა, აერთიანებს ქართველი მონარქის დიდი საქმეების ამსახველ უნიკალურ მასალას, საოჯახო ნივთებს, რომელთა შორისაა: მეფე ერეკლეს ბავშვობის დროინდელი სათამაშო, თოფები – მათ შორის თოფი მუსაიფი, ხმლები, ერეკლე მეფის პორტრეტი, მეფის ოჯახის წევრთა ნაქარგობები, წიგნები...

„ერეკლეობასთან“ დაკავშირებით თელავის მუზეუმმა გამოსცა ფაზლები ერეკლე II-ის გამოსახულებით, კალენდარი და სასაჩუქრე ჩანთები, მეფის სასახლის აივანზე გამოიფინა სასახლის რეაბილიტაციის ამსახველი ფოტომასალა, მუზეუმის დერეფანში კი ნინო ბონდარენკო-მრელაშვილის გამოფენა „გადაშლილი წიგნი“ მოეწყო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 8 ნოემბრისათვის

**ვერძი** – ფინანსურ სფეროში დადებითი ცვლილებებია მოსალოდნელი, თუმცა გამორიცხული არ არის გაუთვალისწინებელი ხარჯებიც. **კურო** – წარმატებული დღეა. ბიზნესში გიმართლებთ. სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **ტყუპები** – აქტიურობა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **კირჩხიბი** – ძალებს გაუფრთხილდით. ენერგიის ფუჭად ხარჯვა რეკომენდებული არ არის. **ლომი** – ზედმეტი ხელგაშლილობა დაგაზარალებთ. სიამაყე საღად აზროვნებაში ხელს გიშლით. **ქალწული** – მოემზადეთ აქტიური მუშაობისათვის. იყავთ მობილიზებული და ინიციატივიანი. **სასწორი** – ნებისმიერ საქმეს თავს გაართმევთ, ოღონდ ზომიერება დაიცავით. **ღრიანკალი** – ღირსების გრძნობა შეინარჩუნეთ. საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. **მშვილდოსანი** – გაბედულება, სითამამე და ორგანიზებულობა დღის დევიზია. ემოციებს ნუ აჰყვებით. **თხის რქა** – დრო სწორად გაანაწილეთ. მთავარი საქმით დაიწყეთ. პირად ცხოვრებაში დაშვებული შეცდომა საჩქაროდ გამოასწორეთ. **მერწყული** – შესაძლოა, ახალი, თქვენთვის უცნობი საქმის კეთება მოგიხდეთ. საბოლოო შედეგი მხოლოდ თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **თევზები** – სასიამოვნო ინფორმაცია თქვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებაზე მიანიშნებს. ნუ იჩხუბებთ ახლო ნათესავებთან.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი უმსხვილესი ამერიკული ფირმა; 2. აეროპორტი კიევში; 3. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 4. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 5. ბრაზილიური არაყი; 9. ისრაელის დაზვერვა; 11. ხეხილის ბაღი; 12. პატარა კაფე გერმანიაში; 14. კუთხე საქართველოში; 18. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 19. ძვირფასი სარეწაო თევზი.

**თარაზულად:** 4. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 5. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. ლუთერანული ეკლესია; 7. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. მათემატიკური ორწევრი; 10. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 13. უბანი თბილისში; 15. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 16. ალასკას ადმინისტრაციული ცენტრი;. 17. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. პარაზიტი სოკოებით გამოწვეული ადამიანის დაავადება; 22. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 23. დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*